

რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

რეკვირები

№ 11 (73) 1.11.2015 - 1.12.2015 ფასი: 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

ქართული ეკლესია „ტაქველები“ 6 წლისაა



პიპა ჯაფარიძე

ონში გიგა ჭავჭავაძის ფახსკვრავი გაიხსნა

№ 9



ღათუნია სხიჭლაძე რაჭული სავანის უმჯახე

№ 38



№ 24

ხაჭავს ჰატიხატი ესტყმა



რადენიე სავთი თენგიზ არჩვაძის გვერდით

№ 27



თავარ გოცირიძე მესტიაში ტაძარს აუხანებს

№ 23



№ 14

გინ ჯაფარიძის სემინარიის ჯვარი



ვაითა, ვინავს მონღოლს მს სოფლავი.

№ 30



გურგენიძეები

№ 14



ფუტეობა - 2015




აბროლაური



გილოცავთ გიორგობას



ಶುಭ ಋತ್ಯುಕರ್ಮ



სარჩევი



23 ნოემბერი - წმიდა გიორგის
ბორბალზე წამების დღე 2



ჟურნალი „რაჭველები“ იუბილარია
6 წლის შემდეგ 3



ფუძეობა 2015 ამბროლაურში 6



გიგა ჯაფარიძის
ვარსკვლავი ონში 9



თბილისობა 2015 10



გია ჯაფარიძის ცხოვრების
ჯვარი..... 11



გურგენიძეები
გვარის ისტორია..... 14



ერთგულება -*გივი სიხარულიძე* 18

განაჩენი - *გივი სიხარულიძე* 19



რობერტ გომარაძე — თამარ მეფე,
რუსთაველი და რაჭა20



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი, ილია
მეორე რაჭას ესტუმრა..... 22



თემურ გოცირიძე მესტიაში
ტაძარს აშენებს 23



რას სთხოვს ემიგრანტ დედებს
პატრიარქი..... 24



როგორ ეხმაურებიან ემიგრანტი
დედები პატრიარქის თხოვნას.... 25



ნანატრი ხიდი..... 26



რამდენიმე საათი თენგიზ
არჩვაძის გვერდით — *ვილენ*
მარდალეიშვილი..... 27



ვაითუ, ვინმეს მოეწონოს ეს
სოფლები, ვაითუ, ვინმე მოვიდეს
და დაესახლოს! — *ვილენ*
მარდალეიშვილი 30



უბადლო მკვლევარი ვახუშტი
ბატონიშვილი..... 31



„სულ იმას ვშიშობდი, რამე არ
დაიკარგოს, არ ნახდეს-მეთქი“ —
ელდარ ბაბულაშვილი..... 34



საბედისწერო მზე შემოდგომისა....36



როგორ შეიქმნა „ტაში, ბიჭო,
გიორგუნა“ 38



კულინარია 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო ჩხვიიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარაშვილი

ტიქსტი აანყო

თამარ გოგინაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი „რაჭველები“ ემიგრანტ
რაჭველებს და არა მარტო მათ,
გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _
გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

23 ნოემბერი - წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღე

წმიდა გიორგი საქართველოს მეოხი და მფარველი წმინდანია. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორი ბრძოლა წმიდა გიორგი ხილულად ქართველთა ლაშქარში დიდგორისა და ბახტრიონის ბრძოლებში. საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გიორგიას“ ეძახიან და საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.



23 ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

ცნობილია წმიდა გიორგის ბორბალზე წამე-

ბის საოცარი ისტორია: როდერსაც პირველ დღეს ნანამები წმიდა გიორგი მეორე დღეს ისევ წარუდგინეს იმპერატორ დიოკლეტიანეს, წმინდანმა მას მუქარის საპასუხოდ მიუგო: „უმალ შენ მოუძღურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენს მიერ გვემული“. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამალა აღუვლინა ლოცვა უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესანიშნად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მონამეს, უთხრა: „გიხაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

ტროპარი

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმწყობელო, სწულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვანლით შემოსილო დიდო მონამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენათავის.

კონდაკი

მოიმუშაკე ღმრთისა მიერ და გამოჩნდი მუშაკად პატიოსნად ღმრთის-მსახურებისა, გიორგი, და სათნოებათა მჭელეული შეუკრიბე თავსა თვისსა, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოიმკე, სისხლი დასთხიე და მოღვანებითა ქრისტე შეიძინე, და ან მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა.



ეურნალი „რაჭველები“ იუბილეორის 6 წლის უფაღაღა



რაჭა — ჩემი სულის აკვანი, რაჭა - ჩემი ფესვთა სავანე... თვალი თვალთაი, გული ალალი, სიტყვა — ხალასი, გრძობა ცხელი და სული მშფოთვარე... ჩემი კავკასიონი, ჩემი ქართველობის სიმაღლე, ჩემი რიონი — ფასის მთიდან იმერეთამდე მონათხრობი ტკბილი ზღაპარი, ჩემი „სანახშო“ — ორლობეში მიმოფანტული სიბრძნისა და იუმორის ღაღადისი, რაჭული ლობიანი — რაჭველი ქალის დაკოჟრილი ხელით და სავსე გულით გამომცხვარი ლობიანი პური, განატეხი — სანთლით დამშვენებული ოჯახისგან სალოცავს შეწირული, კოლორიტები —

რაჭის უკვდავების რეცეპტი, რაჭველი ებრაელები — ტოლერანტობის ორიგინალური ლიბრეტო. ცა - ფირუზისფერია, ვარსკვლავების ქორწინების ბაირალი, გარსაგისი — რაჭული სუფრის უმთავრესი სადღეგრძელო. წყალი—ცისა და მიწის ნაჟური, სინმინდითა და სიღიადით გაჟღენთილი რაკრაკით რომ შეისმის და მილიონი პეშვი არ გვეყოფნის დასანაყრებლად. ჰაერი — კავკასიონის ცადაზიდული მწვერვალებიდან მოდენილი სინმინდის წყარო. მზე, მზე, რომელიც სულ სხვა ფარჩა მოსხმული სათნოებით დასცქერის მედიდურ მყინვარწვერს და თავის კეთილმოსავი სხივებით მისი მრისხანების დათბობას ლამობს. ნამგალა მთვარეზე ხან ვედრო ჩამოეკიდება, ხან ფეხისწვერებზე მდგარი მოჭუტული თვალეებით გადმოჰყურებს რაჭველი კაცის გარიჟრაჟს, დაკოჟრილი ხელებით რომ თვალეებს მოიფშენებს, პირფვარს გარდისახავს, ღმერთო, მონაგარი მიცოცხლეო.

ეს რაჭაა, ჩემი და თქვენი რაჭა, აკაკი წერეთლისა და გალაკტიონის ხოტბის მარგალიტი, ნიკორწმინდისა და ბარაკონის, ქოლოსის და მრავალძალის მადლით ფვარგარდასახული, ფუნჯით ნახატი კუთხე-კუნჭული, ფერთა პალიტრის ფუძე და ჭერი, ადგილი, სადაც ლექსი იწერება, ფრაზა იმღერება და ერთი ფიალა ხვანჭკარით მადლიანი რაჭველი მხოლოდ ღვთისმშობლის სადღეგრძელოთი აცილებს სტუმარს.

მე კი რაჭული სულითა და გულით, წესითა და ტრადიციით აღზრდილი ერთი ჩვეულებრივი ქალი გახლავართ.

ჰო, ახლა გამახსენდა, ჩვენ ხომ ხშირად სიავეს გვაბრალებენ, არადა, მუხრან მაჭავარიანმა ამ მითს შაქარყინული მოაყარა და გრძნობით წარმოსთქვა... „რაჭა ხომ არის ყველაზე კარგი, კარგზე კარგია რაჭველი ქალი“. რაჭველი კაცი საქვეყნოდ განთქმული სასიძოა. ოჯახის ბურჯიაო, ამბობენ.

ახლა ჩვენს ნიჭიერებას არ იკითხავთ? ვინ გამოიგონა პირველი თვითმფრინავი? ვინ შექმნა პირველი შუშის სათამაშო? ... რაჭველი კაცის სიღინჯეზე დანამყნებულმა გონებამ მსოფლიო საოცრებები მოახდინა. მადლიანი რაჭული გენი მთელ მსოფლიოში ბრწყინავს.

აი, ამ სამყაროში დაიბადა ჟურნალი „რაჭველები“, რომელიც უკვე ექვსი წელია რაჭულ საქმეს ემსახურება. მსოფლიოში მარგალიტებად მიმოხეული თითოეულ რაჭველთან მისვლას და გაბაასებას ლამობს. ეს თქვენი ჟურნალია, თბილი, ოჯახური, სუფთა, ისე, როგორც რაჭის ცის ქვეშ გარიჟრაჟისას ახლად გამოფხიზლებული, ფოთლის სისხლძარღვებზე აკამკამებული და აცახცახებული ცვარ-ნამი. ჟურნალი „რაჭველები“ ჩვენი და თქვენი ერთიანობის სიმბოლოა. ჩვენ შრომით განვვლეთ ექვსი წელი, მუხლჩაუხრელი შრომით, ფიქრით და თავდადებით ვქმნით მათიანეს. მე მიყვარს ეს სიტყვა, მიყვარს სიძველე, სიბერე, მზე შემოდგომისა. ადრე ბებო მლოცავდა, ღმერთმა

დამიბეროს შენი თავიო. ცოტას ვბრაზობდი, მეგონა სიბერე წყევლა იყო, თურმე ეს ჩემი ბავშვური უმეცრება ყოფილა. სიბერე მხოლოდ ციფრებია, სიბერე სიხარულია, სიბერე სიმდიდრეა, წარსული მომავლის ფუნდამენტია. ამიტომ სიტყვა მათიანე ოქროს ფონდის გვირგვინია. სწორედ ამან მიკარნახა გამომეცა წიგნი „რაჭის მათიანე“, გარდა ამისა ჩემმა გამომცემლობამ, რომელსაც „ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობა“ დავარქვი, რაჭის თემაზე არაერთი წიგნი გამოსცა.

მინდა მადლობა მოვუხადო ჩემს ერთგულ მკითხველს, ჩემს ფინანსურ მხარდამჭერებს, ბატონებს: **ავთანდილ ჩალაძეს, ირაკლი მაგრაქველიძეს, გოჩა ენუქიძეს, დავით კერესელიძეს, ვიქტორ ორდინიძეს, ამირან გამყრელიძეს, თემურ გოცირიძეს** და ბევრ სხვა ღირსეულ რაჭველს, რომლებსაც მცირეოდენი წვლილიც კი მიუძღვით ამ ჟურნალის განვითარებაში.

ჩემი მონოლოგის დასასრულს, დაგლოცავთ ისე, როგორც ბებია მლოცავდა ხოლმე; ტკბილ სიბერეს გისურვებთ, ჭერის სიმალლე, ფუძის სიმტკიცე, შვილთა სიმრავლე, სულის ზეობა და მზეობა არ მოგიშალოთ მაღალმა ღმერთმა. დაგლოცოთ ნიკორწმინდის, მრავალძალისა და რაჭის ყველა სალოცავმა.

ნინო რეხვიაშვილი

შუქნაღს იუზიღუს შროსაჟუნ...

ჟურნალი „რაჭველები“ რაჭის მთების სიდიარით გადაჰყურებს ჟურნალისცთა ასპარეზს. იგი სჯლია რაჭული ბუხების, საქართველოს ბერნიერებისა და მომავლის გზაზე. ჟურნალი რინჯია, როგორც რაჭველი კაცის ბუხება, ღამზია და აზრობნიერად გაბრწყინებული, ისე, როგორც მისი რედაქციონი ქალბატონი ნინო რეხვიაშვილი. იშვიათობაა ქალში შინაგანი მწიწამსი, ნიჭი და გარეგნული სიღამაზე ასე ჰარმონიულად იყოს შენწყმული ერთმანეთთან — რიდი მარე აჯრეღიყსი ამბობს: „ბრძენია ის, ვინც დამარცხების დღეს გადაქცევს გამარჯვების ჰინჯელ დღედ“. ამ ჟურნალის რედაქციონმა თავისი მოლოვანობით სწორედ, რომ გამამართლა ეს სიციყები. მწავალი გადაცანიღლი სიდიუჭინისა და დამარცხების დღეები თავისი ნიჭისა და შრომის სყაღობით გადაქცია გამარჯვების ჰინჯელ დღედ. მე ღრმად მწამს, რომ ეს გამარჯვების ექვსი წელი მარადიული გამარჯვების შარევენად იქცევა.

აქვე ხაზგასმით ყნდა ალინიშნოს ჟურნალის დამთუძნებლის, ბატონი გოჩა გუცაშვილის ღოჯანლი ამ მიმართულებით, რომელიც ქალბატონ ნინოსთან ერთად მაქსიმალურად იღწვის მშობლიური კუთხის წარმოიხიბებისათვის. მე ვთვლი, რომ თუ „რაჭველები“ წარმაცებულია, ეს გოჩა გუცაშვილის დამსახურებაა.

*გივი სინარყლიძე,
მწერალი*

სულს გიცისკროვნებთ რაჭის ბუნება

გაგიცნაანით და ავმაღლდი ცამდე
 ფრთები შევისნი, ორბივით ვფრინავ,
 თქვენსედ ფიქრები სტრიქონებს ვანდე,
 რადგან ჩემს გულში დაიდეთ ბინა.
 სულს გიცისკროვნებთ რაჭის ბუნება,
 გულს სიანკარე გიმკობთ, რაჭული,
 ულამაზეს წვეილს გესათუთებათ
 წმინდა ქართული ჯიში და რჯული,
 ეალერსებით მშობლიურ კერას,
 ჰკოცნით მის ფუძეს ნარკვევით, ლექსით,
 ცხადშიც, სიხმარშიც ხედავთ და გჯერათ,
 რომ რაჭას თქვენი ტკბილი ხმა ესმის.
 რაჭის გარეშე რაა მამული,
 მისი მზის შუქით ეველგან დარია.
 რაჭველი კაცის მაღალი სული
 მთების სიმაღლის შესადარია.
 სიხმრებშიც გიხმობთ შოვი, უწერა,
 ღები, სვანჭკარა და ნიკორწმინდა,
 ჩვენს ზღაპრულ რაჭას ბევრმა უძღერა,
 მისი მეხობტბე მეც ვიყო მინდა.
 აცოცხლებთ წარსულს, ლოცავთ მომავალს,
 უძღერით რაჭას, მის მთებს, მის ღელეს,
 (ლამაზი შოვის მთებში რომ ავალთ,
 იქიდან უფრო კარვად ვიძღერებთ.)
 მშობელზე ლოცვა ჰქვია თქვენს ვარჯას
 მისი სურნელით მეც ხომ ამავსეთ...
 ვისაც თვალით არ უნახავს რაჭა,
 ის ვერ გაიგებს მთის სილამაზეს.

როგორც ჰოეტი, ვწერ და ვაცხადებ:
 დღეს საამაუო გეავთ ბევრი შვილი,
 ნიშუშად გეოფნით თენგიზ არჩვამე,
 ქაფიანიძე და ლეკიშვილი.
 ჯაფარიძეთა ჯიშსა და ჯილაგს
 მთელი მსოფლიო ინატრებს ალბათ
 მე თქვენი სისხლის ეივილი მნიბლავს,
 რომ გვამცნობთ ეველა რაჭველის ამბავს
 სიტყვა რითმისთვის როდი დამჭირდა,
 რომ დედა-ფუძე გიქოთ ჩქარ-ჩქარა.
 მე სიუვარული მომაქვს რაჭიდან,
 როგორც მჩქეფარე, ტკბილი სვანჭკარა...
 ამ ლექსის წერას ისევ ვავრძელებ,
 (მას ჰოეზია ჰქვია სახელად).
 თქვენ ისე შვენით რაჭას, რაჭველებს,
 როგორც ზეცას მზე და ცისარტყელა.
 თქვენით ვპოეტობ და თქვენით ვლხინობ,
 თქვენთვის ლექსებით სავსე მაქვს ხონჩა,
 დაგლოცავ შუქით მზე — ქალო, ნინო,
 დაგლოცავ მართლა კაი-ემავ, გოჩა!
 ვადამავიწვეთ მსცოვანს სიბერე,
 მუხისთვის მეაფხარტ ვანმად, საუნჯედ,
 სანამ ვიცოცხლებ, თქვენსე ვიძღერებ,
 თუკინდ დავუწუვდე, გინდაც დავმუნჯდე.
 მუხას მიფურჩქნით ლამაზ ფერებად
 თქვენსე სიძღერა მსურს გავავრძელო...
 ვნატრულობთ, გლოცავთ და გეფერებათ
 რაჭა, რუსთავი და საქართველო.

ვანო ცინცაძე


აუჩინალი „რაჭველები“ არის სწორედ ის სიციოცხლით აღსავსე პრესა, რომლის წაკითხვასაც სულმოუთქმელად ვეღობ. ამდენი სიბობ, ერთმანეთის მოთერება, კეთილი რჩევა თავმოყრდილი ერთ ღამზარ შუკონინებულ აუჩინალში, ძალიან იშვიათია.

ათერეშმ ქაღბაფონ ნინოს და მის მეყოლეს ამხელა საქმის კეთებასა და დათუძნებისთვის. ეს აუჩინალი განსაკუთრებით ყცხოეთის ქართველობას გვანარებს. დავილაღეთ ინცნოგებით, ცნოე პოლიციით, ჟონებით, გვქინრება ჯანსაღი აზრი და ალაღ-მართალი დამოკირებულება, აი, ამიციომ შუვიყვარეთ ასე „რაჭველები“, რომლის დიამაზონიყ ძალიან თართოა, მოგვწონს, როდესაც ყველა ყუთხის ადამიანებს ამუქებთ, აკავშირებთ რაჭას, ათერებინებთ რაჭველებს და ამით პოპულარიზაციას ყწვეთ ჩვენს ყუთხეს.

ღმერთმა შეგაძლებინოთ და კვლავაც ყსაზღოჯრო გეკვანოთ თქვენი ერთყოლი მკითხველის საიბერო.

ესპანეთის ქართული დიასპორის სახელით რუსუდან წერეთელი

ფუძეობა 2015



2015 წლის 4 ოქტომბერს რაჭაში სახალხო დღესასწაული „ფუძეობა 2015“ გაიმართა. საზეიმო ღონისძიებები ქ. ამბროლაურში 11:00 საათზე დაიწყო და 21:00 საათზე გრანდიოზული გალა კონცერტით დასრულდა.

„ფუძეობა“ პირველად 1988 წელს აღინიშნა და 27 წლის შემდეგ, რაჭა-ლეჩხუმ-ჭვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ტრადიცია კვლავ აღდგა. ღონისძიების ძირითადი გზავნილი რაჭიდან წასული რაჭველების საკუთარ ფუძეზე დაბრუნებაა. ქართველ სტუმრებთან ერთად „ფუძეობა 2015“-ს დანიისა და სლოვაკეთის დელეგაციები ესწრებოდნენ.

სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებული ყველა აქტივობა: სპორტული თამაშები, თეატრალური დადგმები, ქუჩის მხატვრობა, წიგნებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა ღია ცის ქვეშ ქ. ამბროლაურის ცენტრალურ ქუჩაზე გაიმართა, სადაც გადაადგილება მხოლოდ ფეხითმოსიარულეთათვის იყო დაშვებული. სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით რაჭაში გიგანტური ლობიანი გამოცხვა.

ღონისძიებები გრანდიოზული გალა კონცერტით დასრულდა, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ ჯგუფებთან ერთად მონაწილეობდნენ ნიკოლოზ რაჭველი, ლიზა ბაგრატიონი და „ქართული ხმები“.



რაჭველებმა და სტუმრებმა სპეციალურად ამ დღისთვის გამომცხვარი გიგანტური ლობიანი დააგემოვნეს.

ლობიანი მხარის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა რატი ნამგალაძემ დაჭრეს და დღესასწაულის სტუმრებს გაუმასპინძლდნენ.



აშფობიერება

ფესტივალის ფარგლებში ამბროლაურის ღვინის ქარხანა სტუმრებს ყურძნის ტრადიციული წესით სანახელში დაწურვას სთავაზობდა. პროცესში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

სტუმრებს აუხსნეს, რომ ამ დღეს დაწურულ და ჩამოსხმულ ღვინოს „ფუძეობა 2015“ დაარქმევდნენ და ის სიმბოლურად მომავალი წლის ფუძეობაზე გაიხსნებოდა.

აქვე მიმდინარეობდა ქარხნის მიერ წარმოებული ღვინის დეგუსტაცია. დღესასწაულის სტუმრებმა სახელდახელოდ მომზადებული თათარაც დააგემოვნეს.



ფუძეობის დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ტურიზმის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“. მნახველებს საშუალება ეძლეოდათ დაეთვალიერებინათ იური დონადის, ბესარიონ კობახიძისა და გელა გურგენიძის ხის ნაკეთობები.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ცენტრს სტუმრობდა ქალაქ ბათუმის 11 ტურისტული სააგენტო, რომლებიც ინფო ტურის ფარგლებში იმყოფებოდნენ რაჭაში. სტუმრებმა მოინახულეს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები და საოჯახო სასტუმროები.

ტურისტული სააგენტოები „ტურიზმის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრთან“ თანამშრომლობით გეგმავენ რაჭაში მარშრუტების შედგენას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ტურისტების რაოდენობას ჩვენს რეგიონში.



მთელი დღის განმავლობაში იმართებოდა სპორტული ღონისძიებები ქუჩის კალათბურთში, მკლავჭიდაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ქადრაკში.



გილოცავთ!



გიორგი გვიშიანი

2015 წელს ქალაქ
ამბროლაურში გამართულ
სახალხო დღესასწაულზე
ქალაქის ხელმძღვანელობის
გადაწყვეტილებით მკავალ
დიკსეულ კაჭველთა უბრის
ქალაქ ამბროლაურის
საკვანძო მოქალაქის ტიტული
სუთ აღამიანს მიენიჭა.



ნიკოლ ლევიშვილი



გურამ სულთანაშვილი




ნიკოლოზ რაჭველი



ზალმა კვიტრიანი

გიგა ჯაფარიძის ვარსკვლავი ონში


მშობლიურმა ქალაქმა საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ მსახიობს, რეჟისორს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ბატონ გიგა ჯაფარიძეს ვარსკვლავი გაუხსნა.



გიგა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი



გიგა ჯაფარიძის გუდასტვირი



გიგა ჯაფარიძის სამუშაო ოთახი

თბილისობა 2015



მზისა და ღირსების მხროვნობა

თბილისი — თბილი, ტკბილი, ქალაქი, გული და სული მზიური ქვეყნისა. ალაგი ხობხის და სიტყვა გორგასლისა, ტფილისი ბერმუხა, ტფილისი ძმობა, ტფილისი ერთობა, ადგილი სადაც სიონი, მეჩეთი და სინაგოგა მხარდამხარ დგანან მეგობრობის უკვდავსაყოფად. ადგილი, რომლის კალთებზეც უამრავი მზეჭაბუკისა და თვალწარმტაცი გოგონების აკვანი დარწმუნდა. ქალაქი 1500 წლიანი უმდიდრესი ისტორიით, კულტურით, ეთნოგრაფიით, წეს-ჩვეულებითა თუ ცხოვრების წესით. ტფილისში მზე განსხვავებულად ამოდის და გაცილებით გვიან ჩადის. იქ გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მხოლოდ აქ ისმის დუდუკებზე აკვნესებული საიათნოვა. სხვაგან სად ნახავთ ყარაჩოღელებს და მათ კინტოურს. ვერც მსგავს ერთა შორის მეგობრობის ლიბრეტოს შექმნის ვინმე ადვილად. ეს მხოლოდ აქ, ჭაღარა, ლამაზ, ჩვენს ტურფა დედალაქში ხდება, რომელიც ასაკთან ერთად ყველაზე მეტად შემოდგომის ფერადოვნებას იხდენს.

სწორედ ამიტომ რთავენ მას სადღესასწაულო შესამოსელით ღვინობისთვის. აქ მისი შვილობილი კუთხე-კუნჭულები დედაქალაქის გულის საამებლად ხელდამშვენებული მოდიან და სრულიად საქართველოს საერთო სახალხო დღესასწაულისკენ ეპატიუებიან. ზეიმი საპატიო თბილისელების წარდგინებით იწყება, რასაც ეტლი, დუდუკები, გზად გადამლილი სუფრები, ვაჭრობა და ქალაქურად დროსტარება მოჰყვება, თბილისობა სამი დღე გაგრძელდა.

წინა რეზიუმე



გია ჯაფარიძე



ბესიკ იაშვილი

ბესიკ იაშვილი - სულით ხორცამდე რაჭველი, დიდი დასტაქარი, მთელი ქვეყნისა და ერის სასიკადალო შვილი წელს საპატიო თბილისელის ტიტულის მფლობელი გახდა. სხვა რეგალიებთან ერთად ბატონი ბესიკის ბიოგრაფიას 2012 წელს მიღებული ღირსების სიგელი ამშვენებს - ჟურნალ „რაჭველების“ მიერ „საპატიო რაჭველად“ იქნა დასახელებული.

ასევე საპატიო თბილისელობას ვულოცავთ გია ჯაფარიძეს, დიდ მხატვარს, მოქანდაკეს და ღვაწლმოსილ შემოქმედს.



გია ჯაფარიძის სსოპრების ჯვარი

თუმანიშვილის ქაგლი, გალაკტიონის ხიდის ლომები, ბარათაშვილის ხიდის „ახალგაზრდები“, „კოკალას“ წინ „მოცეკვავი გომონა“, 55-ე სკოლის წინ მდგარი „გასეირნება“, განახლებული სიღნაღის უკვე კოლორიტად ქცეული ქანდაკებები... ეს ის არასრული ჩამონათვალია, რომელიც მოქანდაკე გია ჯაფარიძის ეპოქის და უკვე ქალაქის ორგანული ნაწილია.

მოცისფრო ფერის საოცრად ჰეაროვანი ფიგურები უკვე ბათონი გიას სავიზიტო ბარათებია. ამ „ბარათებს“, ანუ თხელსა და გრძელ, ნატიფ ფიგურებს სპეციალური პატივით - ბრინჯაოთი, თითბარითა და სპილენძით ამზადებს. ეს მოქანდაკის ფავორიტი მასალებია. „ქაგლი მყარ ფიგურასთან ასოცირდება, თუმცა მე ასეთი მიმართულებით მუშაობა მომწონს. ჩემი ქალიშვილები ისეთივე გამხდრები და მაღლები არიან, როგორც ჩემი ქანდაკებები. თუმცა ქანდაკებების კეთება იქამდე დავინწყე, სანამ სოფო და თინა აიყრიდნენ ტანს. გამოდის, ისინი ჩემს ფიგურებს დაემსგავსნენ“ - ამბობს

გია ჯაფარიძე.

ბათონი გია ვეტირანი მორაგბეც არის. 1965-დან 1976 წლის ჩათვლით „ლოკომოტივი“ თამაშობდა. მანამდე იყო ნიჩოსნობა, მძლეოსნობა, კალათბურთი, ჭიდაობა.

„ვიცოდი, რა გზითაც უნდა წავსულიყავი“

ახლა 68 წლისაა. ჭედურობაშიც, ფერწერაშიც, მინანქარშიც უმუშავია. ერთი საქმე მბებრდებო, - ამბობს.

„ბავშვობიდან ვიცოდი, რა გზითაც უნდა წავსულიყავი და რა უნდა მეკეთებინა. შეკვეთები და შემოსავალი სტუდენტობის დროიდან მაქვს.“

ნოდარ დუმბაძის იდეის თანახმად „მზიურის“ გასაკეთებლად მისულ არქიტექტორთა ჯგუფს გია ჯაფარიძეც შეუერთდა.

„1978 წელს რეზო თაბუკაშვილმა შემომთავაზა იტალიაში „სიცოცხლის ხე“ დამედგა, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ დაღუპულთა სსოვნას მიექდნა. ძეგლი ლავუმაჯორის ტბის ნაპირას დაიდგა. მას შემდეგ იქ არ ვყოფილვარ და ნამუშევარი არ მინახავს.“ მისი ძეგლები ატლანტაში, მოსკოვში, ნოვოროსისკში, კუნძულ ტექსელზე, საფრანგეთშია (მარი ბროსეს საფლავი).

„ეს სასწაული მთელი ცხოვრება გრძელდება“

ყველაზე გამორჩეული პერიოდი მის შემოქმედებაში ის დროა, როცა მოქანდაკემ სამების საკათედრო ტაძრის ჯვრებზე იმუშავა. ჯვრების თემასთან „ჰაეროვან მოქანდაკეს“ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ამ იდუმალ დამოკიდებულებასთან ძალიან ახლოს, ალბათ, არავის უშვებს. ეს მისია, თან ამაზე თამამად და საჯაროდ საუბარი ეუხერხულება.

სამების გუმბათის მთავარ ჯვარზე მუშაობა არქიტექტორმა არჩილ მინდიაშვილმა შესთავაზა. პროექტიც მინდიაშვილისა გახლავთ.

ჯვარზე მუშაობა ტაძრის მშენებლობის პარალელურად დაიწყო.

„არჩილი საინტერესო კაცია და მასთან მუშაობა მეც მაინტერესებდა. სამების ცენტრალური რვა მეტრიანი ჯვარი და სამრეკლოს ხუთი ჯვარი გუნდური შრომის შედეგია. სამრეკლოს ჯვრებიდან ბრინჯაოს დიდი ჯვარი ოთხ მეტრზე მეტია, დანარჩენები მეტრნახევრიანებია. ისინი მთავარ ჯვარამდე დამზადდა. ამ სამუშაოს შესრულებაში არქიტექტორები, მოქანდაკეები, მხატვრები, კონსტრუქტორები - ყველანი ჩაერთვნენ. ჯვართან მიმართებაში ერთი ვერ იტყვის - მე ვარ მისი ავტორი. ჩვენთან ერთად მუშაობდა ქვის ოსტატიც - ზაურ ჯოხაძე. ქვაში კვეთილობა მას ეკუთვნის. ამის გარდა, ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ჯვრის ნახაზი არჩილ მინდიაშვილმა და კონსტრუქტორმა ემზარ კიზირიამ გააკეთეს. რვა მეტრიანი ჯვრის ჩამოსხმამდე პატარა ხის ჯვარი - მოდელი ჩვენ გავაკეთეთ. მერე რაღაცები შეიცვალა, ჩუქურთმების მოტივები შევიდა. კორექტივები მოითხოვა და ბურთები გაჩნდა. ქართული ჯვარია. მერე ხის მოდელი ჩავიტანეთ რუსთავში და მეტალო-კონსტრუქციის ქარხანაში ჩამოისხა. ერთი წელი წაიღო შესრულებამ. ჯვარი უჟანგავი ფოლადისგან ჩამოისხა, კოროზია რომ არ მოსვლოდა, მით უმეტეს იმ სიმაღლეზე, სადაც ახლაც აღმართული. ბოლოს სპილენძის მოოქროვილი ფურცლებით შეიმოსა.

ეს ჯვარი სპეციალურად სამებისთვის გაკეთდა.

იქ, სადაც ეკლესიაა, რელიგიაა, მეუხერხულება ვთქვა, ჩემი გაკეთებული ჯვარია-მეთქი. შეიძლება ვისაც ხელი აქვს მასზე დადებული, ყველამ თქვას, ეს ჯვარი მე გავაკეთეო. მაგრამ ის გუნდური შრომის შედეგია.“

ჯვრის გარდა გია ჯაფარიძემ ბრინჯაოს დეკორატიული აუზრული ცხაურები (სავენტილაციო სისტემას ფარავს) გააკეთა. 200-ზე მეტ ფილაზე ისევ გუნდურად იმუშავეს, ისევ ერთი წლის განმავლობაში. კაპიტლებსა და ნიჟარებზე ორი წელი ომარ ტოგონიძე მუშაობდა.

- როგორი იყო თქვენი სულიერი მზადება?

- ლოცვით, დღეში სამჯერ, როგორც ყველა

მართლმადიდებელი, მეც ვლოცულობ. არ მოვიტყუებ, არ მიმარხულია. როდესაც ასეთ მძიმე სამუშაოს ასრულებ, არც უწმინდესი გირჩევს, რომ იმარხულო. ძალიან მძიმე სამუშაო შევასრულეთ.

- რომელ წელს დაეგია სამებას ჯვარი?

- დაახლოებით 2003 წელი იყო. ჯვრის დადგმისას ლაპარაკი იყო, ვერტმფრენით ხომ არ დავამაგროთ ზევიდანო. მერე ამნე გადაწყდა, რომელიც სპეციალურად დასაგრძელებელი გახდა. 90 მეტრზე მაღლა უნდა აენიათ, რომ ჯვრის მილი გუმბათის მილში ჩამაგრებულიყო. ყველაფერი გათვლილი იყო და კარგად ჩაჯდა. გართულება არ ყოფილა. ალბათ, ღმერთმა ასე ინება.

- ემოცია?

- დიდი ემოცია იყო, ემოციების მოზღვაება. ამ პროცესს უამრავი ხალხი დაესწრო. ყველას გვიხაროდა. მთავარი ჯვრის დადგმა იყო. გვირგვინის დადგმა.

- როგორი იყო პატრიარქის შეფასება?

- ძალიან მაღალი შეფასება მოგვცა. სამებაზე მუშაობის პერიოდში უწმინდესი ჩემთან ბრძანდებოდა სახლში. დღე იყო და არა მარტო დღე. დღესასწაული, მოვლენა იყო. თვითონ ხელოვანი კაცია და საოცარი გემოვნება აქვს. ნომერპირველი კაცია საქართველოში, მოვლენაა. საოცრად ტაქტიანია და შემოქმედ ხალხს უფრთხილდება.

მთავარი ნამყვანი ჯვარი, ტაძარსა და სამრეკლოზე, სამეგრელოში, გურიაშიც ბევრი აქვს გაკეთებული. „ძალიან გამიჭირდება გითხრათ, რამდენი ჯვარი მაქვს გაკეთებული. პატარა - მეტრიანი, მეტრნახევრიანი, სამ მეტრიანი... უმთავრესად ჩამოსხმული ჯვრები. ბოლოს ოზურგეთის გარეუბნის ტაძრის ჯვარზე ვიმუშავე.“

- რამდენად რთულია ჯვარში ჰონორარის აღება?

- ზოგჯერ ისეა, რომ საერთოდ უსასყიდლოდ ვაკეთებ, ზოგჯერ მხოლოდ მასალის და შავი სამუშაოს თანხას ვიღებ. არსად არ არის რთული. ჩვენთან ყველას არ შეუძლია იმ თანხის გადახდა. მოვა გაჭირვებული კაცი, მოგიტანს მასალას და რაც საშუალება აქვს, იმის მიხედვით კეთდება. მოსკოვში „ხრამ ხრისტა სპასიტელია“ რომ გაკეთდა, ჯვრები მილიონები დაჯდა. ავტორს არ აინტერესებს, გააკეთა, უნდა - გადაუხადო. სხვა ქვეყანაა, სხვა შესაძლებლობების და დამოკიდებულების.

- თქვენს ცხოვრებაში სასწაულები მომხდარა?

- სასწაულია ჩემთვის ჩემი შვილების დაბადება. ერთის, მეორის, მესამის... მერე შვილიშვილების. ახალი სიცოცხლე რომ ევლინება ქვეყნიერებას, ოჯახში ყველაფერს ცვლის. რა თქმა უნდა, დადებითისკენ. ეს სასწაული მთელი ცხოვრება გრძელდება შვილებთან ურთიერთობაში.

- რელიგიურ თემებზე გაქვთ ნამუშევრები. ამ დროს საგალობელს უსმენთ ხოლმე?

- ძალიან სასარგებლოა. შესაბამის განწყობაზე

ხელოვანი

გაყენებს. რელიგიური თემატიკის გრავიურებს თავისი კანონიკა აქვს, სხვანაირი მიდგომა უნდა, ტყუილების გაკეთება არ გამოდის. უნმინდესს ბლომად აქვს ჩემ მიერ მირთმეული რელიგიურ თემაზე შექმნილი გრავიურა. მათ შორის „იერუსალიმში შესვლა.“ უთქვამს, ძალიან მომწონს შენი ნატიფი ფიგურებიო.

სახელოსნოში

დილით შვიდ საათზე იღვიძებს, ფინჯანი ყავა და სამსახური - თავის სახელოსნოში. ზამთარში გადახურულში, ზაფხულში ღია სახელოსნოში.

„შედულება კარგად შევისწავლე. ვხუმრობ, „სვარშიკი“ ვარ-მეთქი. გია შეგვიდღე, პაიკა გაგვიკეთეო, მოდიან თხოვნებით.

- რაიმე დავიზიანებიათ?

- კი, სულ დაგლეჯილი მაქვს ხელი. თვალში ქვის ანასხლეტი რამდენჯერმე მომხვედრია. სპილენძის შედულების დროს ადუღებული წვეთი თვალში ჩამსხმია. ქუსლი ამომწვარი მქონდა. 1985 წელს „მზიურში“ დევის ქანდაკებას რომ ვაკეთებდით, ზევიდან გადმოვვარდი და თავით დავერჭვე- რკინებში ჩავვარდი და კიდევ კარგად გადავრჩი. ტვინის შერყევა მივიღე, ხელის ძვალი გატეხილი მქონდა. დაბინტული რომ დავბრუნდი, მშობლები გაგიყდნენ. დისკოზი მაქვს. ეს მოქანდაკეების დაავადებაა.

ასპროცენტინია, რომ საყვარელი საქმისთვის მსხვერპლი უნდა გაიღო.

- საყვარელი ნამუშევარი?

- ყოველთვის მიჭირს ამის თქმა. მე, ალბათ, მიყვარს ის, რომლის გაკეთებასაც ვაპირებ. რაც იმ მომენტში მინდა, იმას ვაკეთებ. რაღაც ინვესს ემოციას, მერე ემოცია გაძლევს საშუალებას ფიგურა გააკეთო. ლამაზი გოგოს დანახვა, ამინდი, სიმღერა, დავარდნილი ფოთოლი, ცეკვა... უცებ შემიპყრობს და მინდა რაღაც გააკეთო. განწყობა ხშირად მეცვლება, ემოციური ვარ. ემოციის გარეშე ვერაფერს გააკეთებ. ძალიან სწრაფად ვმუშაობ, რომ ემოციური მუხტი არ დაეკარგო. ჩემთვის ემოციაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

უცხოელებს უფრო მოსწონთ ჩემი ნამუშევრები. ჩვენთან სიტუაციაა სხვანაირი. აქ ხალხი საგამოფენო დარბაზებში, თეატრებში, ბიბლიოთეკებში ნაკლებად დადის.

- მონაფეები არ გყავთ?

- მონაფეებად ახლობლები მყოლია, მაგრამ რეპეტიტორი არ ვყოფილვარ. მასწავლებლობაში ფული არ ამიღია. ვისაც უნდა და აინტერესებს, რისი ალებაც შეუძლია, იმას იღებს ჩემგან. მე სხვანაირი ტიპი ვარ, ვერ ვუჩიჩინებ. აკადემიაშიც ერთი წელი ვასწავლიდი.

ოჯახი

მარინე ერისთავი მის მეზობლად ცხოვრობდა. ემოციურ მოქანდაკეს სიყვარული მაინცდამაინც

არ გამოუხატავს. „ვიცოდი და ბევრი არ მიწვალა, გადანყვეტილება მივიღე და ის ცოლად შევირთე. გყავს სამი ქალიშვილი - არქიტექტორი სოფო, ფერმწერი და მოქანდაკე თინა და იურისტი ნინო.

- ქალიშვილები გასაგებია და თქვენი მეუღლე არის რომელიმე ქანდაკებაში?

- როგორ გითხრათ... ჩემი მეუღლეც მოხდენილი იყო და ლამაზი ტან-ფეხი ჰქონდა.

„ბა-დიღაბა“

სახლში უამრავი ნამუშევარი აქვს - მინიატურული, საშუალო ზომის... მოქანდაკეს მათი დიდ ზომაში გაკეთების სურვილი აქვს. არადა, მისი სახლი მართლა ბევრ ისეთ ნაშრომს ინახავს, ისინი ქანდაკებებად სხვადასხვა კუთხეში რომ მიმოიბნეს, უმშვენიერესი სამკაულებია ჩვენი ქვეყნისთვის. „არგონავტები“ აბსოლუტურად გამჭვი- რვალეა. სადაც არ უნდა დადგა, არაფერი ეფარება. მასში მისტიკაც მაქვს ჩადებული. ზღვის ნაპირზე მირაჟით არის. ჩვენამდე მოსული მითოსის მირაჟი. ეს კაცობრიობის ისტორიაში გაელვებული მითია. საოცარი ისტორიაა, როგორ წაიღებს ბერძნებმა აქედან ცოდნა, დამწერლობა. ამიტომ არ მაქვს გაკეთებული დამძიმებული და კუნთმაგარი ბიჭები. უმარტივესად გადავწყვიტე. ანაკლიაში შეიძლება დაიდგეს და მაგრად იმუშავებს.“



„მარადიული სიყვარული“

სხვათა შორის, ბატონი გიას სახლში ბათუმის სიმბოლოდ ქცეულ თამარ კვესიტაძის „ალი და ნინოს“ იდენტურ მინიატურას წავაწყდი. „მარადიული სიყვარული“ საოცრად ჰგავს კვესიტაძის ქანდაკებას. მაგრამ გია ჯაფარიძეს გაცილებით ადრე აქვს ეს მინიატურა გაკეთებული...

„დიდი ხანია მაქვს გაკეთებული, პარალელები არსებობს. ყველა მეუბნება, როგორ ჰგავსო. ეს იდეები დაფრინავს. თამრიკო უნიჭიერესია, ერთ-ერთი საუკეთესო რამ გააკეთა. ყველა ჩემს კოლეგას, ვინც კარგს გააკეთებს, მინდა ტაში დაუჭრა. აქ მანკიერი თვისებაა - მიდიან ცუდის დასანახად.

„შემოქმედი ერთია, უზანაესი“

- ამდენი ჯვრის ავტორი ხართ. როგორია თქვენი ცხოვრების ჯვარი?

- ყველას ჩვენ-ჩვენი ჯვარი გვაქვს საზიდი. რადგან დავიბადეთ და გადავწყვიტეთ, რომ რაღაც გავაკეთოთ ქვეყანაზე, ნუნუნი არ გვმართებს. მე ბედნიერი კაცი ვარ, ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ.

- თქვენ ხომ შემოქმედი ხართ!

- შემოქმედი ერთია, უზენაესი. ჩვენ მიწაზე რაღაცას ვაკეთებთ. თუ საშუალებას მომცემს უფალი, კიდევ გავაკეთებ...



გურგენიძეები

გვარის ისტორია

ზოგიერთ რჩეულ გვარიშვილთა ნამოდგანარი უძველეს მატრიანთა ფურცლებზეა დაცული.

ქართლის ცხოვრების—საქართველოს ისტორიის ციხე-სიმაგრის მშენებლობაში თავისი წილი აგური გურგენიძეთა ძირძველმა და სასახელო გვარმაც დადო.

წინაპრის საკუთარი სახელიდან მოუდით გვარსახელის ფუძე გურგენიძეთ. „გურგენი“ — პირსახელი (საკუთარი სახელი) ყოფილა კაცისა ძველ საქართველოში. ამრიგად, გვარსახელი გურგენიძე ეპონიმური ტიპის მემკვიდრეობითი სახელთა რიგს განეკუთვნება, ესეიგი მის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის, გვარის ფუძემდებლის საკუთარი სახელი.

საქართველოში გვხვდება „გურგენ“-ძირიანი დერივატული ფორმის შემდეგი ქართული გვარსახელები: გურგენაშვილი, გურგენაძე, გურგენიშვილი და გურგენიძე.

გურგენიძეთა ერთი ყველაზე ძირძველი და სახელოვანი საგვარეულო ჯავახეთიდან იღებს სათავეს.

ვახუშტი ბატონიშვილი ჯავახების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „კაცი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი. სარწმუნოებით გჰლენნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უზით მწყემსი ეპისკოპოსი. გარნა ჰყავთ მლუდენი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა და მჭირნეობისათვის ოსმალთა“ (ვახუშტი ბაგრატიონი: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა — ქართლის ცხოვრება“; ტ. IV; თბ. 1973წ; გვ. 672).

ქართული ისტორიული წყაროებში ჯავახ გურგენიძეთა გვარმოდენილობა XII საუკუნიდან ჩანს.

XII საუკუნეში ბაღვაშთა საგვარეულოს განდევნის შემდგომ ვიდრე თამარის გამეფებამდე (1184წ) უნდა აგებულიყო ბეთაშენის (სოფელ ნალკის რაიონში) ეკლესია, ტაძარს დატანებული აქვს ქვა აღმშენებლის ასომთავრულით შესრულებული წარწერით.

ხუცურითაა ჩანერილი და XVIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

*თაყრბე ნააბდგუხსე ჭუ
აბესიყო შიხსე ეოჯაი უჩაოისე, უაყბოჯრისი
ოსე, ყუაყინაღიჩი იბუხათბინ.*

ალაპი ქარაგმების გახსნითა და მხედრული ტრანსლიტერაციით ასე იკითხება:

„თუერსა ნოემბერსა კგ (23).

ამასვე დღესა ალაპი იჩქითისა, გურგენისძისა, შეუნდვენ ღმერთმან“.

ზემოთ მოყვანილი მასალა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თამარის მეფობის პერიოდი, გურგენიძეთა ამ გვარმოდენილობის აღზევების ხანაა, ნუნდა — მათი საგვარეულო ეკლესიაა, ხოლო ვანის ქვაბები — საგვარეულო სამარხი მონასტერი. იმ ხანად ფეოდალ გურგენიძეთა გვარის უფროსს, იჩქით გურგენიძეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი ეგზომ დიდი შენაწირი უბოძებია, რის გამოც მის სახელზე მოსახსენებელი — ალაპიც დაუდგენიათ.

XVII საუკუნის I ნახევარში ჯავახეთს მოსახლე ფეოდალ გურგენიძეთა ერთიანი სახლი იშლება. სავარაუდოდ მთავარი შტო კახეთში, შილდაში (სოფელი ყვარლის რაიონში) გადადის სამოსახლოდ, ხოლო ჯავახ გურგენიძეთა ერთი ნაწილი კინდება და გლეხთა თუ აზნაურთა რანგში ქვემო და შიდა ქართლში მკვიდრდება.

XVII საუკუნის II ნახევრიდან შიდა და ქვემო ქართლის, რაჭასა და კახეთის მოსახლე გურგენიძენი ქართულ წერილობით წყაროებში სჩანან.

1655 წელს დაწერილია შიომ ბეგის შვილის (ბარათაშვილი) მიერ დმანელ ქრისტეფორე ბარათაშვილისათვის მიცემული შუა ბოლნისის ვენახის ნასყიდობის წიგნი, რომელსაც თავად ბარათაშვილთა ყმა ბადრია გურგენიძეც ადასტურებს.

1681 წელს შეუდგენიათ კახეთის მოსახლე თავად მამუკა და პაატა გურგენიძეთა მიერ პაპუნა ყაზუაშვილისაგან რუისპირს (სოფელი თელავის რაიონში) მდებარე მამულის ნასყიდობის წიგნი, რომელსაც გურგენიძეთა გვარჩამომავლობის კიდევ ერთი წარმომადგენელი კაცია გურგენიძეც ამოწმებს.

1690 წლის 13 მაისს ქართლის ხელმწიფე ერეკლე I (ზეობის წლები 1688-1703) სითარხნის წიგნს აძლევს ქსნის ხეველ აზნაურს შიომ და არჯევან ფიცხელაურებს, რომელშიც მეჯვრის ხევს (სოფელი გორის რაიონში) მცხოვრები გურგენიძეც (სახელი


არ ფიქსირდება) იხსენიება (საბუთი საკმაოდ ვრცელია, ჩვენ მოგვაქვს მხოლოდ ის მონაკვეთი, რომელშიც გურგენიძეთა გვარსახელი იხსენიება):

„... ძველთა ხელმწიფეთაგანაც თქვენის მამულის მეჯვრის ხევს კაცები სალუქაშვილების, ასანაშვილის და გურგენიძის, ახმადს, ორის კომლის დვალიშვილების და სარიჯაშვილების სითარხნე ქონიყოთ... გვეაჯეთ მამულის სითარხნის წყალობას. ვითარხნეთ თქვენი ყმა მეჯვრის ხევს სალუქაშვილები, ასანაშვილი, გურგენიძე ახმადს ორი კომლი დვალიშვილები, სარიჯაშვილები. არა საბაზიერო. არა სამეჯინიბო ლაშქარ—ნადირობის და სათათროს საურის მეტი...“

(საქართველოს ეროვნული არქივი: ფონდი 1448; საბუთი 8898).

XVIII საუკუნის I I მეოთხედს მიეკუთვნება კახეთის ხალხთა აღწერის დავთარი. ჩვენამდე ხელნაწერის მხოლოდ რვა საწყვეტმა მოაღწია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: დ-1603, დ-1605, დ-1607, დ-1608, დ-1609, დ-1610, დ-1625, დ-5186). რომლებსაც ჟამთა უკულმართობის გამო ქიზიყის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის აღწერები აკლია. ნუსხაში ზემო შავქედს (ყოფილი სოფელი ამჟამინდელი საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე) მცხოვრებ გლეხ ნიანა გურგენიძის ერთი კომლი იხსენიება: რომლიდანაც ერთ კაცს, კახეთის სამეფო ლაშქარში, მემარცხენედ მიმსვლელ-მცემელთა სადროშოში, თოფით ლაშქრობა სდებია ვალად (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; დ-1603).

„ძველად გურგენის ძეები იყვნენ თავადნი შილდისანი (შილდა — სოფელი ყვარლის რაიონში), რომელნიც გასწყდნენ და არვინლა დაშთა გვართა მათთაგანი. ხოლო უკანასკნელ მორდლის ძემან სოლომონ, რომელიც იყო აზნაურად ცალმოგვად დიდ მსახურსა მეფესა ირაკლის. ოდეს ნადირშამ წაიყვანა მეფე ირაკლი ინდოეთსა შინა თანა წარყვა მუნ სოლომონ და თავდადებითაც იმსახურა. ამისთვის მეფემან ირაკლი უბოძეს თავადობა და უწოდეს გურგენისძეობა და არიან ესენი წელსა 1744-სა წოდებულადვე თავადად, რომელნიცა ან მოსახლეობენ შილდისა შინა და იწოდებიან სოლომონ მორდლის შვილებად თავადად გურგენის ძეებად ესენი და ამათნი სახლის კაცნი“ — გვამცნობს იოანე ბატონიშვილი. კახეთის თავად გურგენიძეთა, როგორც ძველი შტოს ისე ახალი გვარმოდენილობების შესახებ. რუსეთში „სილკის“ დროს, XIX საუკუნის I ათასწლეულში შედგენილ ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან



პაატა ნულუკიძის მიერ ქელიშის მონასტრისადმი ბოძებული შეწირულობათა წიგნი, რომელშიც ზედა თლულს მოსახლე გურგენიძენი სჩანან. საბუთში აგრეთვე იხსენიება ნულუკიძეთა ხელოსანი კაცია გურგენიძე. საბუთიდან ირკვევა, რომ ზედა თლულს მცხოვრებ გურგენიძეთა ერთი ნაწილი ოდითგანვე სასულიერო პირნი ყოფილან, რომლებიც თავად პაატა ნულუკიძეს საბატონო გლეხთა კატეგორიიდან საეკლესიო გლეხთა კატეგორიაში გადაუყვანია.

ძველად მეფეთა განცა და უკანასკნელ მეფისა მიერ ირაკლისა განცა ვითარცა არს მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა დადებულსა ოდეს შეეკრა მის დიდებულებას იმპერატრიცა ეკატერინასა, წელსა 1783“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; შ—3729).

როგორც კახეთის თავად გურგენიძეთა თაობაზე შემონახულ ამ ცნობიდან ირკვევა გურგენიძეთა ძველი, სავარაუდოდ ჯავახეთიდან გამოხიზნული შტო მთლიანად ამოწყდა, ხოლო ახალ გვარმოდგენილობას XVIII საუკუნის I ნახევარში დასდებია სათავე.

ჩვენამდე მოაღწია დოკუმენტმა რომლიდანაც ირკვევა, რომ კახეთის თავად გურგენიძეთა ახალ გვარჩამომავლობას თავადობა და გურგენიძეობა, მეფეთა სამსახურის გამო, 1740 წელს მიუღია.

1740 წელს დაწერილა იმ ხანად კახეთის მეფის თეიმურაზ II-ისა და უფლისწულ ირაკლის მიერ გურგენიძეთადმი ბოძებული წყალობის სიგელი.

1783 წლის 24 ივლისის ეგრეთწოდებული „გეორგიევსკის ტრაქტატის“ საბუთს თან ერთვოდა ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა გვარების ვრცელი წუსხა. კახეთის თავადთა შორის გურგენიძეთა გვარიც ფიქსირდება.

გურგენიძეთა კიდევ ერთი გვარმოდენილობა გურიიდან, სოფელ ბუკისციხიდან იღებს სათავეს.

გურგენიძეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარმოდენილობა, ქვემო რაჭიდან—კრიხიდან და ნიკორწმინდიდან იღებს სათავეს.

უძველესი წერილობით წყარო, რომელშიც რაჭველ გურგენიძეთა გვარსახელი იხსენიება, XVIII-ის მეორე ნახევრით თარიღდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაჭველ გურგენიძეთა გვარჩამომავლობა საკმაოდ ძველია და XVI-XVII საუკუნეებიდან უნდა იღებდეს სათავეს.

1788 წელს 19 იანვარს დაწერილა თავად

სავარაუდოდ XVIII საუკუნეში რაჭას მოსახლე გურგენიძეთა ნაწილი ზემო იმერეთს უნდა ჩამოსახლებულიყო, რომელთა მცირე ნაწილსაც მოგვიანებით აზნაურობა მიუღია. იმავდროულად გურგენიძენი შიდა ქართლსაც გადასულან.

ქვემო რაჭის ეკლესიებში შემონახულ აღსარების მთქმელთა სიების მიხედვით 1840 წელს გურგენიძეთა გვარმოდენილობის წევრთ უცხოვრიათ სოფლებში: ბუგეულში, გორისუბანში, თლულში, მიქარწმინდაში, ნიკორწმინდაში, სადმელში, ცახში, ქელიაღელში, ხოტევიში.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია XIX საუკუნის მინურულს მოღვაწე მღვდლის დავით გურგენიძის „სიტყვები და მოძღვრებანი“.

გურგენიძეთა გვარსახელის ფუძე ტოპონიმიკაშიც აისახება, კონკრეტულმა ადგილებმა სახელწოდება მათი გვარსახელიდან გამომდინარე მიიღეს. სავარაუდოდ, ეს ის ადგილები და უბნებია, რომლებიც გურგენიძეთა გვარჩამომავლობის წარმომადგენელთ ეკუთვნოდათ, სადაც უცხოვრიათ, ან დღესაც ცხოვრობენ.

1941 წელს კომუნისტური რეჟიმის მიერ წარმოებულ იძულებით ემიგრაციათა ხანაში, ქვემო რაჭის სოფელ ხოტევიდან გურგენიძეთა საგვარეულოს ერთი ნაწილი ქვემო ქართლში, სოფელ ასურეთში ჩასახლებულა.

ამჟამად გურგენიძენი ძირითადად ცხოვრობენ რაჭაში, ჯავახეთში, ზემო და ვაკე იმერეთში, გურიაში, აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთში. განსაკუთრებით მრავლად სახლობენ ქალაქებში: თბილისსა და ქუთაისში.

მასალები გურგენიძეთა საგვარეულოს ინტორიის შესახებ შეაგროვა და წიგნად გამოსცა ამავე გვარის ღირსეულმა რაჭველმა ვოვა გურგენიძემ.



გივი სისარულიძე

სოველები

ერთგულაა

მყინვარწვერს აგერ უკვე მერამდენედ ლაშქრადნენ მთასვლელები. ქართველი ალპინისტებისაგან შემდგარი ექსპედიცია, ნელი ნაბიჯით მწვერვალისაკენ მიიწედა. შვეულმფრენიდან, რომელიც მათ თავს დასტრიალებდა, კინოოპერატორი ცდილობდა ლაშქრობის მონაწილენი მკვეთრად აღებეჭდა ფირზე.

უცებ კამერამ სენბერნარის ჯიშის ძაღლი დააფიქსირა, რომელიც ერთ-ერთ მთასვლელს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

— ეს ძაღლი ვისია? — გადაულაპარაკა მფრინავს ოპერატორმა.

— ჩვენი მიტოსია, დანგაძის. ერთი წამითაც არ სცილდება გვერდიდან. ასე მგონია მაგ ძაღლის გამო შეიშალა.

ამ დროს, ოპერატორმა შესძახა: — ბიჭო, რაღაც საშინელება მოხდა...

— რა მოხდა, არ იტყვი? — იკითხა აღელვებულმა მფრინავმა.

— მე მგონი, თქვენი მიტო ძაღლთან ერთად ნაპრაღში გაუჩინარდა. ამის თქმა და შვეულმფრენის ქვევით დაშვება ერთი იყო.

— რას შვრები, დავიმტვრევით! — შეშფოთდა მეორე მფრინავი.

— ხომ იცი, როგორი ძმაა, მინდა გავიგო რა ხდება,

უშველიან რამეს?

როცა მინას მიუახლოვდნენ, რაციით ჯგუფის ხელმძღვანელს დაუკავშირდნენ.

— რა ხდება, ნოდარ! ცოცხალია თუ დაიღუპა?

— მე მგონი გადარჩა! მთავარია, როგორმე ამოვიყვანოთ.

— ძაღლი?!

— როგორც კი მიტო ჩავარდა, არც დაფიქრებულა, პირდაპირ უფსკრულში გადაეშვა. ძაღლი უფრო ღრმად გდია. მიტო ზევით, ნაპრაღის პირველ გამოწეულ კიდეზე დავარდა. ორივე ცოცხალია. — კარგი! თუ რამე დაგჭირდეთ, რაციით დაგვიკავშირდით. ჩვენ ვეცდებით, თქვენთან რაც შეიძლება ახლოს დავჯდეთ. შვეულმფრენმა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოახერხა დაჯდომა, მფრინავი და ოპერატორი ჩამოვიდნენ. მათ მთასვლელებს თავიანთი „რადიუსი“ შეატყობინეს.

ათი კაცი უფსკრულის თავთან შეკრებილიყვნენ. ეტყობოდათ, რომ ამხანაგისთვის თავის გასაწირად მზად იყვნენ. გადანყდა, წონით ყველაზე მსუბუქი რეზიკო, უფსკრულში ჩაშვებულიყო. შეუდგნენ მზადებას. რეზიკოს პირჯვარი გადაწერეს და ისიც თოკით, ოსტატურად მეგობრის საშველად დაეშვა.

მზისგან ნახევრად გამდნარი ყინული, რომელზეც, ღმერთისწყალობით, მიტო ცოცხალი შემორჩენილიყო, აშკარა საშიშროებას წარმოადგენდა. არავინ იცოდა, გაუძლებდა თუ არა, ორი ადამიანის სიმძიმეს.

უფრო ქვემოდან კი გამუდმებით ისმოდა ძაღლის ყმუილი და თითქოს ეს იყო არა საკუთარი განწირულობით გამოწვეული გმინვა, არამედ თავად უმწეოს, პატრონის უმწეობა ანუხებდა.

როგორც იყო, რეზიკომ ნაპრაღამდე ჩააღწია. ქამარზე მიმაგრებული რკინის კაუჭი ოსტატურად გამოსდო მიტოს და ზემოთ მყოფთ ანიშნა, მზად ვარო.

რამდენიმე წუთში მიტო და რეზიკო



ნაპრაღის თავზე აღმოჩნდნენ. გულის მასაჟის შემდეგ, მიტო გონს მოეგო. თვალი გაახილა და ამოილულულა: „ბომბორა სად არის?“ ყველა გაირინდა. არავის უნდოდა ეთქვა სინამდვილე. სწორედ იმ წამს, თითქოს კითხვას პასუხი გასცაო, მოისმა ბომბორას განწირული ყმუილი.

— ბიჭებო, თუ გინდათ ვიცოცხლო, ბომბორა გადამირჩინეთ!

— თქვა და ისევ გონება დაკარგა. მეგობრებმა მიტო მოასულიერეს და შვეულმფრენისაკენ წაიყვანეს. მთელი გზა — ბომბო, ბომბო! — ლულულულებდა საცოდავი.

უფსკრულთან დარჩენილებმა რეზიკო მეორედ ჩაუშვეს ურჩხულივით პირდაღებულ ქვესკნელში. ბიჭები სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ თოკის მოძრაობას და აი, თოკი შეირხა, დაიწყო სიკვდილ-სიცოცხლისთვის ბრძოლა...

ჯერ რეზიკო ჩაკოცნეს, მერე კი ოთხივე ფეხმოტეხილ ბომბორას ჩაეხუტნენ, სახელდახელო არტახები დაადეს და შვეულმფრენისკენ წაიყვანეს.

ერთი თვის შემდეგ, მიტო და ძალლი სრულიად ჯანმრთელები გამოეწერნენ ყაზბეგის საავადმყოფოდან. ძალლი, მთავარი ექიმის ნებართვით, ამ ხნის განმავლობაში მიტოს ფეხებთან იწვა.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. მთასვლელებში,

თუკი სადმე ჭიქა გაჭახუნდებოდა, ყველა მიტოსა და ბომბორას სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა და მიტოსთან ერთად, როგორც თანასწორისას, ისე სვამდნენ ბომბორას სადღეგრძელოს. შეიძლება უცხოს გაკვირვებოდა მათი საქციელი, სად ადამიანი და სად ძალლიო, მაგრამ მთასვლელებმა კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ.

ჟამთა სვლამ ბომბორა დააბერა. პატრონის ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ძალლი დაუძლურდა და ერთთავად სულ საწოლთან იწვა. ერთ საღამოსაც — ბომბო, ბომბო! — განწირული ხმით წამოიძახა მიტომ და მეგობარი გულში ჩაიკრა. ძალლს კი აღარაფერი ესმოდა...

მიტოს ყვირილი სახლის კედლებში იკარგებოდა. სახლში, საიდანაც, დედის გარდაცვალების შემდეგ, ბომბორას გარდა სულიერი არავინ იყო.

მიტომ ძალლი საწოლზე დაასვენა, გვერდით მიუწვა, ძლიერად მიეკრო მის ჯერ კიდევ თბილ სხეულს და თვალელებში დაუწყო კოცნა.

არავინ იცის, რამდენი ხანი დაჰყო ამ მდგომარეობაში...

დილით კი ერთგული მეგობარი, მიტოს ძმაცაცებმა საწოლში გაყინული ნახეს.

ბანაჩენი

ლამის წყვდიადში გახვეულა ქალაქი. ერთ ანთებულ ნათურასაც ვერ დაინახავს კაცი. ესეც შენი ოცდამეერთე საუკუნის თბილისი. თერმომეტრი მიწუს ცხრა გრადუსს აჩვენებს. არც შუქი, არც წყალი, არც გათბობა... სიცივისგან გათოშილი ვზივარ და ლამის შუქზე ვწერ...

უცებ ძალლების ყეფა და საზარელი ყმუილი მომესმა. ქარმაც მაგრად დაუბერა და ხეების ტოტები ერთმანეთს შეახეთქა, სახურავის თუნუქმა ჭრიალი ატეხა, თითქოს მარწუხებში მოამწყვდიესო.

ისე გაგრძელდა ყმუილი და ყეფა, რომ შევმინდი — ავის მომასწავებლად მენიშნა. ცხოველები ყველაზე ადრე გრძნობენ მიწისძვრის მოახლოების საშიშიროებას და საშინლად წრიალებენ.

თუ რამე გამაჩნდა ტანზე მოვიცვი და ფარნით ხელში ეზოში ჩავედი. დამინახეს თუ არა მშიერმა ძალლებმა, ჩემსკენ გამოცვივდნენ. მე ხელში ორი ძვალი მეჭირა, რომელსაც აქა-იქ ხორცის ნაფლეთები ჰქონდა შემორჩენილი. ძვლები ძალლებს გადავუგდე, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც კი შეხედეს, ჩემსკენ წამოვიდნენ, ლოკვა დამიწყეს, მე დავიხარე და ორივეს თავზე ხელი გადავუსვი.

მივხვდი, რომ ამ წუთს ძალლებს, ადამიანებისა არ იყოს, ალერსი უფრო მეტად სჭირდებოდათ, ვიდრე საჭმელი.

— ცუგოებო, ცუგოებო, — გავიძახოდი... ქარი კი, თავგამეტებით უბერავდა, თითქოს მეუბნებოდა, რას გამოსულხარ ამ წყვდიადში, ადი სახლში, ჩემ საქმეში კი ნუ ერევიო.

არ ვიცი რატომ, იქნებ პროტესტის ნიშნად, ყეფა დავიწყე:

— ავ! ავ! — გავიძახოდი და თან ძალლებს ვეფერებოდი.

— ავ, ავ, ავ!.. — მპასუხოვდნენ ისინი და მთელი ძალით მეკვროდნენ.

— ნუთუ მიწისძვრა იქნება? — ნეტა რა ხდება, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

უცებ ჩემი სიტყვები ვიღაცის ხმამ დაახშო.

— მეტი რა უნდა ხდებოდეს... წყალი თქვენ არა გაქვთ და საჭმელი, შუქი და გათბობა. თუმცა უფრო დიდი უბედურებაც გჭირთ. ერთმანეთი შეგძულეზიათ... მიწისძვრაო, იძახით, ამაზე მეტად ნეტავ, რაღამ უნდა შეგძრათ, თქვე ცოდვისშვილებო?!



ჩვენს რედაქციაში გავრი სანინტარესო სტუმარი მოდის, მაგრამ გატონი როგორც ტომარაჰის მიერ მოტანილმა წერილმა მათად გამაჰვირვა, როგორც წარმოშობით რაჭველია, ქუთაისში ცხოვრობს, პროფესიით ინჟინერია, უყვარს ისტორიული ფაქტების კითხვა და მისეულ ანალიზსაც ხმადაღლა აფიქსირებს. წერილი, რომელიც მან რედაქციაში მოიტანა გავრ მკითხველს გააჰვირვებს. ალბათ გამომხატულების სურვილიც არაერთს გაუჩნდება. გატონი როგორც მზად არის დისკუსიისთვის და ბრძანა, რომ ნებისმიერ შეკითხვას თუ მოსაზრებას მოთმინებით მოინახენს და იგივე ჟურნალის საშუალებებით შესაგამის ანსუსსაც გასცემს. მამ ასე, გთავაზობთ ტექსტს უცვლელად.

ზემო რაჭაში სოფლებს ბოყვასა და შქმერს შორის არის გამყოფი კლდე, რომელიც ცნობილია როგორც თამარდედოფლის კლდე, რომელზეც არავითარი მცენარე არ ხარობს. ამ კლდეში — დაახლოებით 50 მეტრის სიმაღლეზე არის გამოქვაბული, მარჯვნივ არის კირით ნაშენი კედელი. ამ კედელსა და გამოქვაბულს შორის გადებულია ხის ძელი. ყოველივე მიუთითებს მასზე, რომ ამ გამოქვაბულში ცხოვრობდა ადამიანი ან ადამიანები. ბაბუაჩემისგან გამიგია, რომ ვინმე პეტრე ომანაძემ, სოფელ ბოყვიდან, ამ კლდეში, რკინის ძელით გააკეთა ნახვრეტები—შიგ მუხის კოლები ჩაასო და ასე ადიოდა გამოქვაბულში. პეტრე ყოველ დილით ადიოდა გამოქვაბულში და საღამოს ბრუნდებოდა. ამბობდა ღმერთებთან სასაუბროდ დავდივარო. ეს კოლები დღესაც არსებობს, მაგრამ ასვლა ვერაფერ შეძლო. ხშირად ვმჯდავრავ ჩემი სახლის აივანზე (სოფ. ხეთი) და საათობით მიფიქრია, რა საიდუმლოს უნდა ინახავდეს ეს გამოქვაბული?

მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას:

აღნიშნული გამოქვაბული შეიძლება გაეკეთებინა დიდ ფიზიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობას. ასეთი ძალა კი რაჭის პირველი ერისთავი რატი ბაღვაში იყო, რომელიც ბიზანტიელებთან ბრძოლაში დაიღუპა და ერისთავობა მის ვაჟს კახაბერს გადაეცა. კახაბერი ბრძენი და ჭკვიანი კაცი ყოფილა, მისი სახელი შთამომავლობამ გვარად გაიხადა სწორედ ამიტომ რაჭის ერისთავები

მე-14-ე საუკუნემდე კახაბერიძეები იყვნენ. კახაბერ ერისთავი 10 წელი მართავდა რაჭას და შემდეგ კირილეს სახელით ბერათ აღიკვეცა. სად მოღვაწეობდა ბერი კირილე უცნობია. იქნებ ზემოთ აღნიშნულ გამოქვაბულში და იქვეა დაკრძალული? თუ ეს ასეა მაშინ სავარაუდოა რომ რაჭის შემდგომი ერისთავების საძვალეც იქ უნდა იყოს.

რატომ ატარებს ეს კლდე და გამოქვაბული თამარ დედოფლის სახელს და რა კავშირი უნდა იყოს მათ შორის?

ცნობილია, რომ თამარ მეფე იზრდებოდა რაჭაში და მისი გამზრდელი (მამობილი) იყო კახაბერ ერისთავი (კახაბერ მე-2-ე). როგორც ცნობილია თამარი ორჯერ აკურთხეს მეფედ, პირველად მამის სიცოცხლეში, გვირგვინი კახაბერ ერისთავმა დაადგა და მეორეთ მამის გარდაცვალების შემდეგ, ხმალი კახაბერ ერისთავმა შეაბა. ეს მიგვანიშნებს, რომ თამარ მეფესა და მის მამობილს შორის კეთილი—ახლო ურთიერთობა იყო. თუ ეს ასეა მაშინ ლოგიკურია, თამარის ცხედარი—მტრისაგან მიუნვდომელ ადგილას, მისი მამობილის გვერდით დაეკრძალათ, ესე იგი იმ გამოქვაბულში. საგულისხმოა ისიც, რომ ამ დროს კახაბერ ერისთავი სულ მხოლოდ 3 წლის გარდაცვლილი იყო და თამარის მისდამი დამოკიდებულება დავინწყებული არ იქნებოდა. გავიხსენოთ ლექსი;

„ხალხმა მშვენებით ეთერსა თამარი ამჯობინაო
წავიდა ბოყვას მივიდა და იქ დაიდო ბინაო“



ე.ი. ლექსი გვეუბნება, რომ თამარი დაკრძალეს სოფელ ბოყვაში. ეს გამოქვაბულიც ხომ იქვეა. არსებობს გადმოცემა, რომ თამარის დაკრძალვისას სასახლიდან 9 კუბო გამოიტანეს და არაფერი იცოდა რომელში ესვენა ცხედარი გარდა იმ ორი ძმისა, რომლებიც მას მიასვენებდნენ. გადმოცემის თანახმად, ძმებმა მდინარის პირას თავი მოიკლეს, არსად წამოგვცდეს თამარი სად დაკრძალეთო. ამ ხეობაში ჩამოდის მდინარე ხეორი, რომლის მარჯვენა მხარეს, სოფელ ბოყვაში, შემადლებულ ადგილზე, უშუალოდ მდინარის პირას არის ეკლესიის ნანგრევები. იქნებ ეს ეკლესია იმ ძმების საპატივცემულოდ იქნა აგებული?

კახაბერ ერისთავს 9 სოფელი ეკუთვნოდა საჩხერის რეგიონში. ეს იმას ნიშნავს, რომ ერისთავი ხშირად დადიოდა საჩხერეში, საჩხერეში რაჭიდან გადასვლა შეიძლებოდა სოფელ შქმერის გავლით. ეს გზა იყო ზემო რაჭის ძირითადი დამაკავშირებელი არტერია საქართველოს სხვა რეგიონებთან და თურქეთ-ირანთან, მე-20-ე საუკუნის 40-იან წლებამდე. სოფელ ბოყვასა და შქმერს შორის არის ფართოფოთლოვანი, დაბურული, ნადირით მდიდარი, რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გაშლილი ტყე, რომლის გავლა შეზღუდვისას და ღამით საშიში იქნებოდა. ამიტომ ლოგიკურია, კახაბერი თავისი ამალით ღამეს ბოყვაში გაათევდა და დილით დაადგებოდა შქმერისაკენ მიმავალ გზას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერისთავს ამ სოფელში ეყოლებოდა საყრდენი ოჯახი. ამ სოფელში ცხოვრობდნენ კერესელიძეები, მესხები, გოცირიძეები, ჯაფარიძეები, ომანაძეები (ომანაძეები ახლა აღარ ცხოვრობენ). რაჭა მთლიანად ღამაზი მხარეა, მაგრამ სოფელი ბოყვა განსაკუთრებით გამოირჩევა ფლორით, ფაუნით, შესანიშნავი წყაროებით და ჰაერით. თითქოს ღმერთს განგებ შეუქმნია ამ მთაგორიან ადგილში შეკავებული ადგილი, რომელსაც აისიდან დაისამდე მზე დანათის. ერთ-ერთი წყაროს მარცხნივ ცხოვრობენ მესხები, ხოლო მარჯვნივ გოცირიძეები. მგზავრი შესაჩერებლად ყოველთვის წყაროსთან ახლოს მდებარე ადგილს ირჩევს. დაუშვავთ კახაბერს თავის საყრდენ ოჯახათ შერჩეული ჰქონდა წყაროსთან ახლო მდებარე ერთ-ერთი მესხის ოჯახი. ცნობილია, რომ თავადები და მეფეები შვილებს გლეხებს აზრდევინებდნენ. ბუნებრივია თამარ მეფესაც შესაფერის გლეხის ოჯახში

მიიყვანდნენ გასაზრდელად, სადაც გაიზრდებოდა ერისთავის მზრუნველობის ქვეშ. რატომ არ შეიძლებოდა, რომ თამარიც აღსაზრდელად იგივე მესხის ოჯახში მიეყვანათ. ცხადია ოჯახში, სადაც თამარს აღსაზრდელად მიიყვანდნენ, ეყოლებოდათ მისი ტოლი ბავშვი. გადმოგვცემენ, რომ თამარი და შოთა რუსთაველი ერთად იზრდებოდნენ. რუსთაველი (რუსთველი), რომ ქართული გვარი არ არის, ცხადია. სულმნათმა შოთამ, იმ პერიოდში არსებული ყველა ნაწარმოების ავტორი გაგვაცნო და რატომ არ უნდა ეთქვა თავის ნამდვილი გვარი? იქნებ გვითხრა კიდეც — „ვწერ მესხი ვინმე მელექსე, მე რუსთველისა ამისად“. რატომ ვამტკიცებთ, რომ აქ მითითებული მესხი რუსთველი ნიშნავს, რომ შოთა იყო მესხეთიდან და ამავე დროულად რუსთავიდან. ვფიქრობ აქ რალაც შეუსაბამობაა. იქნებ აქ შოთა გვეუბნება, ჩემი გვარი არის მესხი-ოოო... მაშინ რას უნდა ნიშნავდეს ფსევდონიმი რუსთველი? ზემოთ მოგახსენეთ რომ მესხები ცხოვრობდნენ წყაროსთან. პატარა წყაროს კი ჰქვია რუ. იქნებ შოთა მიგვანიშნებს, რომ ის არის იმ ოჯახიდან, რომლის სახლიც დგას წყაროს ანუ რუს სათავესთან და ამიტომაც აიღო ფსევდონიმად რუსთაველი.

მინდა შევეხო ერთ გადმოცემას, რომელიც გვეუბნება, რომ ვინმე მეციხოვნე გოცირიძეს და კახაბერ ერისთავის ასულს ერთმანეთი შეყვარებიათ. ერისთავი წინააღმდეგი ყოფილა — „მე შეილს გლეხს ვერ გავაყოლებო“. თამარი და შოთა წვევიან კახაბერს და უთხოვიათ დათანხმებოდა ახალგაზრდების ქორწინებას. თურმე შოთას მაშინ უთქვამს: „თუ კაცი კაცად ვარგა რას უშლის გვარიშვილობა“. რატომ უნდა ყოფილიყო თამარი ასე დანტერესებული მეციხოვნე გოცირიძის ბედით? იქნებ იმიტომ რომ ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ (გოცირიძეები და მესხები ხომ მეზობლებლად ცხოვრობდნენ).

გავიხსენოთ ქაჯეთის ციხის აღწერა ვეფხის ტყაოსნიდან, ხომ არ არის აქ ზუსტად ზემოთ აღნიშნული თამარის კლდის და გამოქვაბულის აღწერა?

გავიხსენოთ ნესტან დარეჯანის ნერილი ტარიელისადმი, სადაც ის მიუთითებს, რომ „გზა გვირაბითა შემოდის“. დიახ იმ გამოქვაბულში მოხინადრე კლდიდან ვერ ავიდოდა და მას შესასვლელი აუცილებლად გვირაბით ექნებოდა. კლდეში გამოკვეთილი ფანჯარა კი საჰაერო იქნებოდა. შესაძლებელია სოფელ შქმერის ქვეშ იყოს კასტრული მღვიმე, რის ეჭვსაც იძლევა ის უცნაური ხმა, რომელსაც გამოსცემს მდინარე ხეორი მთიდან გამოსვლისას.

ყოველივე აქ ნაამბობს ნათელს მოჰფენს აღნიშნული გვირაბის შესწავლა.

რობერტ ტომარაძე

ქუთაისის მეტალურგიული ნარმოება „ჰერკულესი“-ს დირექტორის | მოადგილე
სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ავტორს შემდეგ ნომერზე: 577 20 91 36



2 ოქტომბერს,
სხარიაჲ საქათვეროს
კათორი კოს-წატიჩაჲი,
მცხეთა-თბილისის
მთავაჲჲის კოშონი,
ბიჭვინთისა და
ცხყმ-აფხაფეთის
მიტროპოლიტი
ყნმინრესი და ყნეტაჲესი
ორი მუოხე
ონის მყნიციჲარიტეტს
ესტყმჲა.



თეაჯი ბოსიჩიძე მესხიაში ტაძახს აშენებს



ტელეფონის ზარია, ჟურნალ „რაჭველების“ რედაქტორი ნინო რეხვიაშვილი მეხმინება:

- თემურ გოცირიძის ნახვა მინდოდა;
- თემურს ამჟამად ვერ ნახავთ, იგი რამდენიმე თვეა სვანეთშია, მაცხოვარის სახელობის ტაძარს აშენებს — ვპასუხობ მე.
- რა კარგი საქმეა, ღმერთმა სიკეთე არ მოაკლოს ასეთ მამულიშვილს — მეუბნება ქალბატონი ნინო. რაჭველებზე წიგნი გამოდის და მასალა მჭირდებოდა...



— შეძლებისდაგვარად ვეცდები, დავპირდი და უცებ თემურისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსიდან „ოცნება“ ერთი მონაკვეთი გამახსენდა:

„თვითმფიროვით მოფრინავდა კაცი
ორთავ მტევანს დაუდნობოდა კაცი,
თან მოჰქონდა მამულის და კუთხის
სიყვარული ნაბოძები უფლით“.

კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ არ შევცდარვარ, რომ ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება იმ

პიროვნებას, რომელზედაც ახლა ვსაუბრობთ.

— დედაქალაქში სამსახურის საქმეები ერთგულ თანამშრომლებს მიანდო, უფროსი შვილები: მარიამი და ნინო ოჯახის შინაურებს, უმცროსი ელენე კი მესტიის სკოლაში გადაიყვანა სასწავლებლად, რათა დიდი საქმისთვის არ ელაღატნა, მაცხოვრის სახელობის ტაძარს აშენებს სვანეთში. მთელი გული ჩადო ამ საქმეში. გვერდზე უდგანან ოჯახის წევრები: საყვარელი მეუღლე გულია შუკვანი, ცოლისდები და მათი მეუღლეები, სვანეთის მოსახლეობა, რომლებმაც თემურ გოცირიძის სახით ძვირფასი მეგობარი შეიძინეს. ამ პიროვნებას გაეცნო და მისი დადებითი ენერგეტიკით არ დაიმუხტო, შეუძლებელია. ჭკვიან, ნიჭიერ სვანებს რა თქმა უნდა ალღომ არ უმტყუნათ და გულმოდგინედ შრომობენ თემურთან ერთად, რათა კიდევ ერთი უფლის სახლი შეემატოს სვანეთს.

დიდება თქვენ, ჩემო მამულიშვილნო!

ახლა კი თემურ გოცირიძეს და სვანეთს ლექსად შეგვხმინებით:

გულმოდგინებით უბოძე
სვანეთს მაცხოვრის ტაძარი
ეს, მერამდენედ აუნთე,
მამულს სიკეთის ხანძარი.
მადლობა თანადგომისთვის
შუკვანის ლამაზ ასულებს,
ზნეობის, თესავთ მაგალითს
უფლის ნაბრძანებს ასრულებთ.
ქრისტესა მოდგმის ზარები
მესტიას აგუგუნდება,
უშბის მწვერვალის სილაღეს
მადლი არ გაუსუნდება.

გვეამაუბებ სვანეთი
არტერიან, ჟანდბადი,
კოშკებს გულმკერდზე გაუკრავთ
„მე ვარ და ჩემი ნაბადი“.
არ გაცვეთოდეს ქართველ კაცს
ნამუსის ქუდი, სვანური
გვრგვინავდეს ჩვენს სამშობლოში
ლილე, შავლეკო, დაულური.

ჩვეს სთქმვის ვაიხჩვენს ღაღაშის ვესჩი იაჩაი



ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ლიტურგიის დასრულების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოდან წასულ დედებს თხოვნით მიმართა, რომ სამშობლოში საკუთარ ქმარ-შვილთან დაბრუნდნენ.

„დღეს შემოვიდა მანკიერი წესი, დედები ტოვებენ თავის ოჯახებს, მიდიან უცხოეთში და ქმარ-შვილი უპატრონოდ რჩებათ სახლში. ზოგიერთი ფიქრობს, არ არის სამუშაო, არ არის სამსახური. ეს არ არის სწორი. ყველაზე დიდი ქომაგი ადამიანისა, ყველაზე დიდი დამხმარე ჩვენი დედამიწაა. ღმერთმა მოგვცა ჩვენ დედამიწა ისეთი მადლიანი, რომ ადამიანი თუ მიწაზე იზრომებს, ბედნიერი იქნება. მე მინდა მოგმართოთ ყველას, მიგმართო მათ, ვინც წასულია, ვინც უცხოეთშია, დაბრუნდით სახლში, სახლი უკეთესია.

საქართველოსთანა ქვეყანა მსოფლიოში არ მოიძებნება, დაბრუნდით და იზრომეთ. ერთმა საქმემ თუ არ გაგიმართლათ მიხედეთ მეორეს, მესამეს, მეათეს. არ შეიძლება ასეთ ქვეყანაში როგორც არის საქათველო, უმუშევარი იყოს ადამიანი. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხალხი დაბრუნდება სამშობლოში და ყოვლადწმინდა ღვთსმშობელი დედა დაეხმარება მათ, სიუხვე და მადლი ჰქონდეთ“,- ბრძანა პატრიარქმა.



კობოკ უმაურებიან ემიგრანტი დედები პატრიარქის თხოვნას

ნიკო ნატროშვილი (იტალია): 15 წელია აქ ვარ. ბევრმა ჩვენგანმა აქ წამოსვლის მერე ქმარიც კი დაკარგა. როგორი მწარეა, როცა დასვენების დღეებში კი არ ისვენებ, რომ შენს ოჯახს მეტი გაუზავნო და აღმოაჩინე, რომ შენი მეუღლე შენი გაგზავნილი ფულით სხვა ქალს ინახავს. მე ასე დამენგრა ოჯახი. როგორ გგონიათ სხვა გზა რომ გვქონოდა, ასეთ რამეს დაფუძნებდით? შვილების გამო ყველაფერს ვიტანთ. მათი მომავლის გამო საკუთარ ცხოვრებას ვწირავთ. მერე ეს შვილები იზრდებიან, გვიუცხოვდებიან, ჩვენს არ ყოფნას ეჩვევიან. მხოლოდ ჩვენი გაგზავნილი ფული სჭირდებათ. საქართველოში ჩამოსვლისას თავს უცხოვდ ვგრძნობთ საკუთარ ოჯახებში. ამიტომაც ბევრი ისევ უკან ბრუნდება. ჯერ მარტო ამის გააზრება რამხელა ტკივილს გვაყენებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ დედობრივი გრძნობა უანგაროა. დედისთვის ის უფრო გაუსაძლისია, როცა მისი შვილი მშვიდია და თავს უბედურად გრძნობს. ამიტომაც მოვდივართ აქ. მესმის პატრიარქისაც ის ოჯახების გადარჩენას ცდილობს და ამიტომ გააკეთა ეს მონოდება, მაგრამ ჩვენიც უნდა გაიგონ. უფრო მტკივნეული და გაუსაძლისი იქნება თუ ამის გამო გავგვიცხავენ. რამდენიმე დაბრუნდა კიდეც და ვერ გაუძლეს. სახლში უარესი პრობლემები დახვდათ. ზოგმა დაბრუნების მიუხედავად მაინც ვერ შეძლო ოჯახის გადარჩენა.

სატიშნა ბერიძე (საბერძნეთი): პატრიარქს განსაკუთრებულ პატივს ვცემ და ჩემთვის ცოტა გასაკვირიც იყო ასეთი განცხადება. ალბათ მან იმ ქალბატონებზე გააკეთა აქცენტი, რომლებმაც საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ ოჯახები მიატოვეს და ცხოვრება ახლიდან დაიწყეს. ასეთები ბევრნი არ არიან. უმრავლესობა კი ოჯახის გამო საშინელ ტანჯვას გავდივართ. ავადმყოფ მოხუცებს ვუვლით, ზოგი ფსიქიკურად დაავადებულსაც და საშინელ დღეში გვაგდებენ. ყველაფერს ვიტანთ იმის გამო, რომ შვილებს სწავლის შესაძლებლობა მივცეთ და საკუთარი ჭერი ჰქონდეთ. ჩემს ოჯახს სახლი არ ჰქონდა. ვალების გამო დავკარგეთ. შვილებთან ერთად ქუჩაში რომ არ აღმოვჩენილიყავი და საკუთარი ჭერი გვქონოდა იმიტომ წამოვედი. ასეთი დიდი თანხის შეგროვებას წლები სჭირდება, თან ყოველთვიურად საარსებო თანხაც ხომ უნდა გავაგზავნო. მერე სტუდენტები გახდნენ და სწავლის ფულის შეგროვება მომინია. იმედს ვიტოვებ პატრიარქს ჩვენნაირი ქალბატონები არ უგულსისხმია. წლობით უნახავი შვილების მონატარებას და მძიმე შრომას ზოგჯერ საშინელ დეპრესიამდეც კი მივყავართ. ჩემი ნაცნობებიდან სამმა ქალმა თავის მოკვლაც კი სცადა, აქედან ორი ვერ გადარჩა. არჩევანი რომ გვქონდა, დაბრუნებას ვინ დავგასწრებდა.

თაპარ მებრელიშვილი (იტალია): მიუხედავად პატრიარქისადმი დიდი პატივისცემისა, არ მის განცხადებას ვერ გავეთანხმები. თქვენო აღმატებულება, ეს უთხარით მთავრობას და იმ სახელისუფლებო ორგანოებს, რომლებმაც ქვეყანაში უნდა შექმნან სამუშაო ადგილები, რათა დედებმა ატირებული შვილები არ დატოვონ და ასეთ სტრესსა და თავიანთი ახალგაზდობის თუ სიბერის წლები გაჭირვებაში არ გაატარონ. ეს ერთი და მეორე ის, რომ არა ამ ატირებული დედების, ცრემლიანი, მონყენილი სახეებით წამუშევარი, გადარჩებოდა საქართველო?! მე ერთი მორიგი მოკვდავი ვკითხულობ ვინ გადაარჩინა საქართველო?! ვინ თუ არა ამ დედებმა, ვინ თუ არა ემიგრაციამ?! ამ ყველაფერს ტკივილი გალაპარაკებს და არა შური და განკითხვა... და რაც შეეხება სოფელს და მიწას... მიწასთან მუშაობა არა მგონია იოლი იყოს, მიწასთან მუშაობას ტექნიკა სჭირდება, რომელიც ჩვენ გადატაკებულ ქვეყანას არ გააჩნია და ძალა სჭირდება, რომელიც ხალხს გამოეღია. დაიღალა ხალხი. დავიღალე ყველაფრით... დავიღალეთ... დავიღალეთ მილიარდების მუცლის არგაძლომით, დავიღალეთ სხვისი კაპრიზებითაც. ნუთუ არ მოიძებნება ქვეყანაში ადამიანი, ვინც წარუძღვება და მიხედავს ამ ქვეყანას ისე, რომ როგორც თქვენ ამბობთ, მოდაში არიყოს საზღვარგარეთ წასვლა და ქართული მიწის მიტოვება?!

ნანატრი ხიდი



სოფელი ბარეული

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი ბარეული რიონის მარცხენა მხარეს მდებარეობს, რომელსაც ნორაულის ღელე ჰყოფს შუაზე. მასზე

გადებული ხიდი კი გაღმა-გამოღმა სოფელს ერთმანეთს აკავშირებს. სწორედ ეს ხიდი გახლავთ ჩვენი სტატიის ძირითადი თემა, ხიდი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ადგილობრივი მოსახლეობის არაერთგზის თხოვნის შემდეგ სოფლის პროგრამის ფარგლებში სახელდახელოდ გაკეთდა. იმდენად სახელდახლოდ, რომ პირველივე მოდიფიკაციამ ღელემ ხიდი გზად წაიყოლა. სოფელი კვლავ გარე სამყაროს მოსწყდა.


რაიონის ხელმძღვანელობამ ბატონი მალხაზ ლომთაძის მეთაურობით ჩვენი მდგომარეობა გაითავისა, გულთან მიიტანა, დაგვიპირდა და შეგვისრულა კიდეც.

ვინც კარგად იცნობს ჩვენს მხარეს, დამეთანხმება, რომ ეს კონკრეტული ადგილი მენყრული ზონაა. ბატონმა მალხაზმა უფრო შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, კვალიფიციური ექსპერტები მოიწვია, მათი რეკომენდაციის საფუძველზე დღეს ჩვენ გვაქვს 150 000 ლარად შეფასებული კაპიტალური რკინის ხიდი, რომელიც სოფლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

11 ივლისს ბარეულში სტუმრების სიმრავლე შეიმჩნეოდა. ნანატრი ხიდი პატარძალივით თავმომწონედ იღებდა მომსვლელთ. ბავშვების ჟრიაში არე-მარეს აყრუებდა. უხაროდა ყველას, დიდს თუ პატარას, უხაროდათ სტუმრებს, რამეთუ ამდენი მადლიერი სახეების ხილვა მათთვის მეტის კეთების სტიმულია. სოფელმა უდიდესი მადლობა გადაუხადა რაიონის გამგებელს, ბატონ მალხაზ ლომთაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ საშვილიშვილო საქმეში მცირეოდენი წვლილიც კი მიუძღვით.

მეც ვუერთდები ჩემი სოფლის სამადლობელს. დღეს მე და თქვენ, ბატონო მალხაზ, საერთო საქმე გავაკეთეთ, მე როგორც მედიატორი თქვენსა და სოფლის მოსახლეობას შორის, შედეგით აღფრთოვანებული ვარ. უფალმა დაგლოცოთ. კიდეც ერთხელ გმადლობთ ყურადღებისთვის.

დილავარდისა დავითულიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.



რამდენიმე საათი თენგიზ არჩვაძის კვლევი

კეპი სახეს უფარავდა და ლიფტიდან რომ გადმოვიდა, კინალამ ვერ ვიცანი...

— ხომ ხედავ, ზუსტად მოვედი... თორმეტ საათზე... — ხელს მართმევს და თვალეში შუქი უდგება.

— მობრძანდი, ბატონო თენგიზ! — რედაქციის დერეფანში აქეთ-იქიდან ესალმებიან, ცნობისმოყვარეობით შესცქერიან თენგიზ არჩვაძეს. შეიძლება ითქვას, რომ „ფორმაშია“, ენერგიული გამომეტყველებით ათვალეერებს ოთახში გამოფენილ სურათებს, ფოტორეპროდუქციებს.

— მაგარი იყო ლადო გრიგოლია, კარგად ვიცნობდი... დიდი მხატვარი იყო... ნახე, „გროგოლ ორბელიანი“ როგორ არის შესრულებული... „დაემხო ჩემი სამშობლო, საფლავს ჩავდივარ მწუხარი“...მერე ალექსანდრე ჭავჭავაძის ფოტორეპროდუქციაზე აჩერებს მზერას...

— ეკატერინე მეორის ნათლული იყო... ნარმოგიდგენია? კახეთში, რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლებისას, ფეხში დაჭრეს კახელებმა...

— რამდენჯერმე დაგირეკე, გასულია ქალაქიდანო...

— ჰო, ძირითადად, ლაშარიჯვარში ვარ, მისაქციელთან ახლოს, მშვენიერი ადგილია, იქა მაქვს, ასე ვთქვათ, აგარაკი... ვარ ჩემთვის მარტო... რადიოს ვუსმენ და ეგაა. ხანდახან „გიჟები“ თუ მესტუმრებიან... ღვინო მოვრჩი, როგორც იქნა, ქაფიანიძე აღარ სვამს და მეშველა...

- ტელევიზორი ხომ გაქვს?
- კი, მაგრამ, მარტო ჩოგბურთს ვუყურებ...
- პოლიტიკა!

— აპაპაპა... არ მაინტერესებს!.. მაგათ დალუპეს ჩვენი ქვეყანა!.. იმ დღეს ერთი გოგონა მირეკავს, რომელიღაც გაზეთიდან: „ბატონო თენგიზ, ვერ მეტყვი, ვინ არის ქართველი მიუნჰაუზენი?!“

მივხვდი, საითაც ურაკუნებდა და გავბრაზდი, რა ჩემი საქმეა, ვინ არის ქართველი მიუნჰაუზენი?!. თანაც, რას ერჩი — მიუნჰაუზენი სიმპატიური ტიპია, ქართველ კაცს ენათესავება შინაგანი ბუნებით...

— სერგო კლდიაშვილის ლახუნდარელი, რეზო ჭეიშვილის შალიკო ხვინგიაძე, ქართველი მიუნჰაუზენები არ არიან?!

— აგაშენა ღმერთმა!... ჰოდა, გავანზილე შენი ახალგაზრდა კოლეგა... ხელისუფლება რომ ხალხს ჭაზე მრიცხველს დაუყენებს წყლით უმდიდრეს ქვეყანაში, იქ, რაზე უნდა ილაპარაკო?!

— ვითომ, მართლა ეგრეა?!. უნდა გავიქცე ერთხელ მაღლაკში, ვნახო ჩემ ეზოში, ჭაზე დააყენეს თუ არა მრიცხველი...

— იცინე შენ! შეიძლება გადასახადიც კი დაგვხვდეს... აი, ამ დღეებს მოვესწარიო...

თვალეში სევდა უდგას.

— საერთოდ, როგორ ცხოვრობ, ბატონო თენგიზ?!.

— ღმერთმა დალოცოს ბიძინა ივანიშვილი... ხუთ სულს ვინახავ მისი წყალობით...

— ჰოლივუდში შენი დონის მსახიობს ძეგლს დაუდგამდნენ, უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა...

— ეეე... კარგი რა... ჩვენ აგერ, გუშინ, ქართველი საბჭოთა მსახიობები ვიყავით, სულ სხვა წესით და რიგით ვცხოვრობდით... თუმცა, უდიდესი დაფასება ჰქონდა ჩვენს პროფესიას... საკმაო ჰონორარსაც ვიღებდი, ვხარჯავდი, მეტი რა შემრჩა... ახლა, კიდევ გიმეორებ, ბიძინა ივანიშვილის წყალობით ვარსებობ... ეეე... ეგ არი, რომ ჩემი ხალხის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ...

— ახლა, თენგიზ არჩვაძე მესტუმრა და თითო ჭიქით არ აღვნიშნოთ? შევიდეთ ჩვენს სასადილოში, ბატონო თენგიზ, ზოგიც იქ ვისაუბროთ.

ცოტა ხანს ყოყმანობს.

მშობელ მიწაში მიდვას ფესვები

— შევიდეთ, რაც არის, არის!.. მე გპატიუბი!..

— არა, ეგრე არ გამოვა, დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი!..

ჩვენთვის ვსხდებით კუთხეში. პირველ ჭიქას იღებს;

— ჩვენ რაჭველები ვართ. ისე „ვორონცოვზე“ დავიბადე და გავიზარდე... მამაჩემი ჭიათურაში გაზეთის რედაქტორი იყო, ესე იგი, შენი კოლეგა... ორჯონიკიძე დასდევდა დასაჭერად... მეპურეებში ჩაჯდა და გადარჩა... რომ ვუთხარი, რატომ ჩაჯექი-მეთქი, მაშინ შენ არ მეყოლებოდიო!.. გესმის, ვილენ?..შენ არ მეყოლებოდიო!.. ჰოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ არ მეყოლებოდნენ ჩემი შვილიშვილები, ჩემი სიცოცხლეები!..

— რამდენი გყავს?

— სამი — ანუკა, მარიამი და ირინე... ამაზე მერე ვიტყვი, ჯერ მშობლებისა დავლიოთ!..

— გაანათლოს ღმერთმა!..

— ჰო... 24-ში მამაჩემის 14 დედამამიშვილი შორაპანში დახვრიტეს, სისხლი ასხამდა თურმე ხის ვაგონებიდან... ამ რამდენიმე წლის წინათ მარნეულში „სამშობლო“ დავდგიო... ნანა კვასხვაძემ დადგა, ნანა ბოკუჩავამ, განსაკუთრებით — ნათელა არველაძემ — ძალიან მოინდომეს... ნათელა მაგარი ქალია... ხმალი მაჩუქეს... სახლში ივანე ჯავახიშვილის 1923 წელს გამოცემული დიდი საქართველოს რუკა მაქვს კედელზე გაკრული... ერთხელ კინალამ დამიჭირა კგბ-მ ამ რუკისთვის, მაგრამ არ ჩამოურთმევიათ... მივაკიდე ხმალი რუკაზე და ღმერთო დიდებულო, აღარ დაეცია იგი საქართველოს ახლანდელ საზღვრებში... აბა „სამშობლო“ დავდგათ ჩემს საორბელიანოში, ჩემს სამშვილდეში... დიდი საქმე გაკეთდა... მოდი, ჩვენს ბედუკუღმართ სამშობლოს გაუმარჯოს!.. ღმერთო რა დავაშავეთ!.. შაჰ-აბასმა ასი ათასი კაცი გარეკა საქართველოდან, ახლა მილიონზე მეტი, თავისითაა გაქცეული... გაუსაძლისი მდგომარეობაა. ერთი მეგობარი მყავს, შენ იცნობ, ნიჭიერი კაცია — მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი... გერმანიაში თუ ბელგიაში მიდის, სამუშაოდ მიდის... აღარ შემოძლია აქ გაჩერებაო... ხუთი შვილი ჰყავს, მიჰყავს და მიდის!.. ახლა, ის ბავშვები საქართველოს გამოადგებიან როდესმე?! ღმერთმა ქნას!.. მეც მიმიწვიეს გერმანიაში გადაღებაზე რამდენიმე თვით... არ ნავედი!.. სამჯერ დანერე, ვილენ: არ ნავედი! არ ნავედი! არ ნავედი!.. მე დრეზდენი რად მიინდა, თუ ზედიზედ არ ვნახე, ორ კვირაში ერთხელ მაინც! დავითგარეჯში ვიყავით შარშან შემოდგომაზე, დოკუმენტურ ფილმს იღებდა ერთი ჩვენი ძმაკაცი. კარტოფილი გვექონდა მარტო...

კიდევე გველები დასრიალებდნენ ირგვლივ... მაინც ბედნიერები ვიყავით!.. ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს!.. ჩვენ ყოველთვის ტერიტორიულად ვიყავით დაპყრობილი... აბა, როგორ შეიძლება მონამ ასეთი რამ თქვას: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან“, ანდა: „ქსანზე, არაგვზე ისევე ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა“...

— თეატრში თუ დადიხარ?

— არა... 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა... მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან... ჭიქა ამინვეია...

— გიორგი შავგულიძესთან...

— მაშ, გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები... რეზო ხუბუას დაბადების დღეს ვთქვი თეატრში — ერთი ოცდაათი კაცის პურმარილს მე ვკისრულობ რეზოს სახელზე რესტორან „საქართველოში“-მეთქი, მივდექ-მოვდექი, იქვე ნაცნობები მყავს... გაანყვეს სუფრა... ველოდები, ველოდები... კაცი არ მოვიდა... რა ჰქვია ამას?! რატომ შეიცვალა ხალხი?!.. მოდი, ჩვენი წარსული მეგობრების ხსოვნისა ვთქვათ!..

იცო, რამშვილიშვილები მყავს? ანუკიმ საოცარი რამ მითხრა ერთხელ: ბაბუ, ისე მიყვარხარ, როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო... გესმის?! ამის თქმა არ გინდა?! როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო!.. მოდი შვილიშვილებს გაუმარჯოს!.. იქნებ მაგათ მაინც არ იცხოვრონ სიცრუეში, თვალთმაქცობაში, ორპირობაში!.. შვილიშვილები ხომ გყავს?!

— მყავს ჩემი ანანიკო!

— გაგიზარდოს!..

„დამისხი, დამალევინე,
ჭაბუკობაში ვუვიროდი,
როცა მოვცადე სოფელი,
ჩემს უსირცხვობას ვუვირობდი,
ნუ მისხამ, აღარ მესმევა
კახური ვახის ნაჭური!
გულს მიკლაფს, გონებას მირეკს
განავთნარი, ნახული...
პურიც წაიღეთ, არ მიინდა,
არამი არი ჩემზედა:
ვერა უშუველეთ მიწასა,
ანუელს, მოსულს ქერზედა,
ჯეილმა, ახლა რას უშუველ?
თმა გამითეთრდა ებებზედა“



... ა, ვაჟა-ფშაველა როგორია!..

— მე იმედიანი ლექსები უფრო მომწონს ვაჟასი: „გულო, არ გასტყდე, გამაგრდი, კლდეო, კლდედ იდექ სალადა!“

— გაუმარჯოს, მაშინ იმედს!.. იცი, როგორ მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ?! როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პური!

რედაქციის ორი სამი თანამშრომელი გვიერთდება. ჩანს, როგორ უყვართ, როგორ პატივს სცემენ თენგიზ არჩვაძეს ბიჭები. მოგვიანებით ჯანსუღ ჩარკვიანიც შემოხმაურდა — გაუგია ჩვენი აქ ყოფნა. გადაკოცნა ძველი ძმაკაცი. მერე, არ მესმევა, თანაც, ძალიან მეჩქარება, მაგრამ თენგიზის სადღეგრძელოს მაინც დავლევო, თქვა და ჭიქა ასწია: „თენგიზ არჩვაძე რაინდი კაცია, ძმებო, ნაღდი მამულიშვილი და მსახიობი... ეს დაამტკიცა მისმა არსებობამ, მისმა შემოქმედებამ... ასეთი კაცები აცოცხლებდნენ საქართველოს, გაუზარავე, უმნიკვლო კაცები... სამწუხაროდ, რაინდები მიდიან და ვის რჩება საქართველო, ყველა კარგად ვხედავთ!.. გაგიმარჯოს თენგიზ!..“

დაგვემშვიდობა ბატონი ჯანსუღი, მეზუფეტესთან მივიდა, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მთელი ჩვენი სუფრა გადაუხდია.

რა დასამალია და ცოტა წაუღლილინეთ კიდეც (ჰო, ომარ ჩიტაია გვყავდა გვერდით—„აკაკის აკვანში“ პატარა აკაკის როლის შემსრულებელი და შესანიშნავი მომღერალი, „გოდრით“ ამოუშვა ბანი ომარმა).

ვდგებით, გამოვდივართ სასადილოდან. ერთი ნუთით შევიაროთ ჩემთან, რაღაც უნდა გადმოგცემეთქი, ვეუბნები თენგიზს. შემომყვა. მაგიდის უჯრას ვალებ და თაბახის ფურცელზე ნაწერს ვუჩვენებ — 75 წლის გამო ლექსპრომტი გიძღვენი, აი, ნახე, თუ მოგეწონება. ვკითხულობ:

შენი არსებობა, ძმაო,
ქართულია,
შენი სახეები, ძმაო, მარადია,
კვლავაც მოკვავრის ეველს,
სიხარულს და სევდას,
შენი არსაკიდე,
შენი ზარანდია.

ჩემი იდეალი ქეთელაურია,
შენ რომ გავვიცოცხლე,
ასე შთაგონებით,
ღმერთმა დაგილოცოს
დედასაქართველო,
თანაც, ნამეტნავად,
რაჭის მთა-გორები!

— აგაშენა, ღმერთმა!.. შენ პოეტიც ყოფილხარ, ძმაო!..

— ყველა ქართველი პოეტია, აბა, რა!.. ეს ორიგინალური შენი იყოს!..

— იცოცხლე!

...გარეთ კვირიკობის თვის ბული დგას, ქუჩა თითქმის ცარიელია.



— კარგია ახლა ჩემთან, არაგვის პირზე!.. თუ რაღაც მოვახლავთ თევაგვისტოსთვის, დაგირეკავ და ჩამოდი, ბულაჩაურამდე ლარნახევარი უნდა მიკროავტობუსით მგზავრობას...

— ოოო... 75 წელი არაა სახუმარო ასაკი...


— აბა!.. მეტი კი არ უცოცხლია აკაკის... ქუთუთოების დამბლა ჰქონდა (კიდეც ერთხელ ავლენს განსწავლულობას).

— კარგი რა! ღმერთმა დიდხანს გამყოფოს!..

— ვნახოთ!..

ხელის აწევით მემშვიდობება და კოსტავას ქუჩას მიუყვება თენგიზ არჩვაძე.

**ვილენ მარდალაიშვილი
ჟურნალისტი**



ვაითუ, ვინაჲს მოენონოს ეს სოფლაზი, ვაითუ, ვინაჲა მოვიდას და დაესახლოს!

მურმან ლებანიძე

მეშინია

ეს სოფლები:
ეს ლიქოკი, ეს არსოტი,
ცარციელა
ეს ჰარტანის საიგავო,
მეშინია,
ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ
მოვიდეს და დაიკავოს!

შქმეწს სათიბზე
არ დავობენ მეზობლები,
ძალდი არ ჰეფეს,
ძალდი არ ჰეფეს ბარისახოს!
ვაითუ ვინმეს
მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ ვინმე
მოვიდეს და დაესახლოს!

ეს სსიერი,
ეს ლიქოკი, ეს არსოტი
არ ჩააქრო,
არ ჩააქრო! - გაფიცებდი.
არ წააგო,
არ წააგო ეს წალკოტი! -
დამიხსომე,
ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე,
განჯღრევი და გაღვიძებდი!

განგაშის ზარს სცემდა ჩვენი მურმან ლებანიძე დაცარიელებული რაჭის შემხედვარე. დაზაფრული იყო პოეტი ჩვენი სოფელ-ადგილების სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობით, არადა, „უცხო თესლი“ ხარბად შეჰყურებდა ამ უმშვენიერეს, სიჩუმეში გარინდული მიდამოს და შესაფერ დროსა და საშუალებას ეძებდა აქ დასამკვიდრებლად (არ ჰქონდა უამრავი მაგალითი ჩვენი ბედოვლათი „ტოლერანტობისა“ თუ არა?!). ვაითუ, ვინმეს მოენონოს ეს სოფლები, ვაითუ, ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!“ — წუხდა პოეტი.

ეს 50 წლის წინათ იყო, როდესაც რაჭველ კაცს ერთი-ორი კაპიკი მანაც მოეძებნებოდა მშობელ კუთხეში მისასვლელ-მოსასვლელად.

დღეს რა ხდება უმშვენიერეს რაჭაში?!. თითქოს აღმშენებლობაა, მაგრამ რეალურად უპატრონოდაა მიგდებული ეს „ღვთის ბოძებული“ ადგილი.

და განა მართო რაჭა?! მთელი საქართველოს ერთადერთი მაცოცხლებელი ძარღვი ხომ, სამწუხაროდ, ისევ თბილისია და ოღონდ თავი გადაირჩინოს, დღიური სარჩო იშოვნოს, ქართველი კაცი მამაბაპეულ ადგილებს სტოვებს და თბილისისკენ მოიჩქარის სავაჭროდ და საჩალიჩოდ, დაცარიელდა კახეთის, ქართლის, იმერეთის, მესხეთ-ჯავახეთის, გურია-სამეგრელოს სოფლები და ქალაქები.

ყველანი თბილისისკენ!..

ოღონდ თავი გადავირჩინოთ!

და, ისე ყოველივე კარგი აგებდეთ, ახლა მურმან ლებანიძის სასტიკი წინათგონობა: „ვაითუ ვინმეს მოენონოს ეს სოფლები, ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!..“ ამას რომ წერდა, რა თქმა უნდა, ისტორიულ რეალობას ითვალისწინებდა პოეტი და საქართველოს ირგვლივ შემოჯარული „ძმები“ ჰყავდა მხედველობაში, თორემ იმას რა აფიქრებინებდა, ფრთხილად იყავით, 40 წლის შემდეგ ჩინელები დაეუფლებიან ჩვენს მაღლიან მიწა-წყალსო.

ვინ იფიქრებდა!..

ფაქტი ჯიუტია: დღევანდელმა არეულ-დარეულმა სიტუაციამ, ხელისუფლების აგდებულმა დამოკიდებულებამ მამაპაპისეულისადმი, შთამომავლობისაგან მიტოვებულმა ეზო-კარმა და გადაბალახებულმა სახნავ-სათესამ ამ ფანატიკურად შრომისმოყვარე ჩინელს აფიქრებინა, უკეთეს ადგილას სად წავალო და შემოვიდა... მე თქვენ გეტყვით და კანონი დახვდა ნინ თუ სამართალი?!

ვერაფერი აჩერებს ამ ტანმორჩილ, წვრილ თვალეში ეშმაკურღმობილჩამდგარ არსებებს, რომლებიც უკვე ისე გაგვიშინაურდნენ, რომ გურჯაანის რაიონში სოფლებსაც კი ყიდულობენ!.. თითქოსდა, ჩვენი გულარხეინობით „შეძენილი“ უცხოტომელები არ ჰყოფნიდეს ამ ერთ მტკაველ ქვეყანას, რომ თავის მიწაზე ვერ-დატეული და მსოფლიოს შესეული ყვითელი რასა არ შემოგვემატოს და ცოტა ხანში საერთოდ არ გადაგვაშენოს!

ახია ჩვენზე!..

ქართველმა კაცმა მიატოვა მამაპაპეული, რადგან უკიდურესად გაუჭირდა! ხელისუფლებამ არაფერი იღონა იმისთვის, რომ სოფელზე და საკუთარ მიწაზე გულაყრილი ქართველი როგორმე უკან მიებრუნებინა, ხელი შეეწყო გაუდაბურებულ ადგილებში სიცოცხლის აღორძინებისათვის!..

რა მივიღეთ?!

მოდის და მოდის ჩინელი — დაუოკებელი ძალა, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს მკაცრი კანონების გარდა!.. ჰოდა, რაღას უცდი ხელისუფლებავ თუ მართლა ოკეანის გაღმელებისგან მოსყიდული არა ხარ?!

შთამომავლობა (თუ ჩინელის სისხლშერეული არ იქნა) მოგვკითხავს ყველაფერს!

ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!

**ვილან მარდალაიშვილი
ჟურნალისტი**

დიდი ქართველები


უბადლო გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი

ვახუშტი ბატონიშვილი/ბაგრატიონი (დ. 1696, თბილისი — გ. 1757, მოსკოვი) — გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი. ავტორი სამეცნიერო თხზულებისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ვახუშტი გვევლინება როგორც ცნობილი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, რომელიც თავისი კალმით აღწერს დარგებს: გეოგრაფიას (კლიმატოლოგიას, ხმელეთის ჰიდროლოგიას, ნიადაგების გეოგრაფიას, სპელეოლოგიას, კარტოგრაფიას, ისტორიულ გეოგრაფიას, ტოპონიმკას, ეკონომ გეოგრაფიას, მ.შ. მოსახლეობასა და სოფლის მეურნეობას), გეოლოგიას (მინერალოგიას, ჰიდროგეოლოგიას), ბოტანიკას (ფიტოგეოგრაფიას), ზოოლოგიას (ზოოგეოგრაფიას), ისტორიოგრაფიას, ეთნოგრაფიასა და ანთროპოლოგიას. ვახუშტი სამშობლოს აღწერას, ქვეყნისადმი დიდი ინტერესის მიზნით ასრულებს და მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის მთავარ შრომას 2010 წლისათვის 265 წელი შეუსრულდა, თხზულება მაინც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას. ოჯახთან ერთად გადასახლების გამო,

თავის თხზულება ვახუშტიმ 1745 წელს, რუსეთში დაასრულა.

იუნესკოს ეგიდით, 1997 წელს საზეიმოდ აღინიშნა ვახუშტის დაბადების 300 წლისთავი და ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა მისი თხზულება და მალალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული „საქართველოს ატლასი“, რომელიც მტკიცედ შევიდა მსოფლიო კულტურის საგანძურში.



ვახუშტი ბატონიშვილი დაიბადა 1696 წელს, ქალაქ თბილისში. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი. ფრანგი მოგზაურის შარლ პეისონელის (1700-1757) ცნობით, მისი დედა ყმა გლეხის ქალი ყოფილა. ვახუშტი იმთავითვე გაანათლეს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა: სულხან-საბა ორბელიანმა და ძმებმა გიორგი და იესე გარსევანიშვილებმა (გარსევანოვებმა).

ვახუშტის აღზრდაში მონაწილეობა მიიღეს ასევე თბილისში მყოფმა კათოლიკე ფრანგმა მისიონერებმა. მაინც, ვახუშტის უშუალო აღმზრდელად, დეკანოზი იესე გარსევანიშვილი მიიჩნევა. თავისი დროისთვის ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ერთ-ერთ უგანათლებულეს

ადამიანთა ითვლებოდა. ქართულის გარდა ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, თურქულ, რუსულ და სომხური ენებს.

1717 წელს ვახუშტი ბატონიშვილი დაქორწინდა მარიამ აბაშიძეზე (გიორგი აბაშიძის ასული). 1722 წელს, ვახტანგ VI-ის განჯაში ყოფნის დროს, ქართლის სამეფოს გამგებლად იყო დატოვებული. 1724 წელს ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, მოსკოვში დაბინავდა და სახელმწიფო ჯამაგირი დაენიშნა. სწორედ მოსკოვში დაწერა მან თავისი უმთავრესი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე.

მისი კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ და არსებით ნაწილს წარმოადგენს გეოგრაფია. „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ ვახუშტი ბატონიშვილის მთავარი შრომის გეოგრაფიული თავების ერთობლიობის პირობითი სახელწოდებაა, წარმოადგენს თავისი ეპოქის მეცნიერულ დონეზე დაწერილ ნაწარმოებს. ვახუშტიმ თავისი შრომით საქართველოს გეოგრაფიული წარმოდგენა სრულიად ახალ გზაზე დააყენა. მისი აღწერა მთელი საუკუნის მანძილზე გეოგრაფიული ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილმა თავის მთავარ შრომაში აღწერა 800-მდე ოროგრაფიული ერთეული, მ.შ. ქედები, მასივები, ხეობები, ხევები და ვაკეები. აღწერა 440 მდინარე და 22 ტბა; რიგი მინერალი და მტკნარი წყარო. შრომაში კარგად არის აღწერილი ჰიდროგრაფიული ქსელი, განსაკუთრებით კი ქართლისა.

განიხილავს საქართველოს ტბებს და აღწერს: ლისის, კუმისისა და ლილოს ტბებს (თბილისთან), ტბისყურის (ტაბანყურის), ფარავნის, კარნახის, სადამოს, ტალაშანისა (მადათაფის) და ორმოზანის ტბებს (სამხრეთ საქართველო); მოიხსენიებს პალიასტომის, ბაზალეთის, ერნოს ტბებსა და სხვ. შრომაში აღწერილია ქალაქები და სოფლები, ასევე მრავალი ნასოფლარ-ნაქალაქარი. ვახუშტიმ შრომაში დეტალურად განიხილა საქართველოს ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, ეკონომიკა და კულტურა. მის რუკებზე კი დაწვრილებით აისახა ჰიდროქსელი, რელიეფი და სხვ. იგი ახასიათებს სარტყულურობას, ამასთანავე ცდილობს შეაფასოს რელიეფის ფორმათა მორფომეტრია და სხვ. მან მოგვცა ასევე საქართველოს ჰავის პირველი დეტალური აღწერა, რომელმაც ვიზუალური დაკვირვებების ხარჯზე, საკმაოდ მაღალ დონეზე აღწერა იგი. ვახუშტიმ საქართველოს კლიმატი ცალკეული მხარეების მიხედვით აღწერა და შექმნა სრულყოფილი კლიმატური დახასიათება.

ვახუშტი ასე ახასიათებს თბილისის ჰავას:

„ჰავითა არს მშვენი და მხიარული... ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი, გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო...“

ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ორი ქართული გეოგრაფიული ატლასი, რომელიც წარმოადგენს კავკასიის ერთი ნაწილის პირველ დეტალურ, საკმაოდ მსხვილმასშტაბიან და თავისი დროისათვის ზუსტ კარტოგრაფიულ

გამოსახულებას. თავის პირველი ატლასი მან 1735 წელს შექმნა და იგი წარმოდგენილი იყო 8 რუკით (რომელთა ნაწილი დაკარგულია). ამავე პერიოდში ატლასი ითარგმნა ფრანგულ და რუსულ ენებზე. ფრანგულად ატლასი გადათარგმნა ფრანგმა მკვლევარმა დელილმა, ხოლო რუსულ თარგმანზე იზრუნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი ევროპის რუკა, 1752 თავის მეორე ატლასი ვახუშტიმ 1742-1743 წწ. შეადგინა, და იგი თავის მხრივ, 19 რუკისაგან შედგებოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი, პირველ ატლასთან შედარებით, უფრო სრულყოფილი და დახვეწილი გამოდგა. რუკებზე გამოისახა ჰიდროქსელი, რელიეფი, ქალაქები, თვალსაჩინო ნაგებობანი და სხვ. ვახუშტის ნაშრომები იმთავითვე შეაფასეს მოწინავე ევროპელმა კარტოგრაფებმა და იგი გამოყენებულ იქნა XVIII საუკუნეში შედგენილი მთელი რიგი ევროპული რუკებისათვის. ვახუშტიმ დიდი წვლილი შეიტანა ისტორიული გეოგრაფიის განვითარებაზე. მის მეორე ატლასში პირველად იყო შეტანილი ისტორიული რუკები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

XIX საუკუნის შუა წლებამდე ვახუშტი ბატონიშვილის კარტოგრაფიული ნაწარმოებების საფუძველზე ეცნობოდნენ კავკასიის გეოგრაფიას. 1752 წელს ვახუშტი ბატონიშვილმა რუსულიდან ქართულად თარგმნა „მოკლეპოლიტიკური გეოგრაფია“ 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად, რომელშიც გამოსახულია იმ დროს ცნობილი ყველა ქვეყანა, ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სემინარიაში. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული თხზულება და რუკები მნიშვნელოვანი წვლილია მსოფლიო გეოგრაფიულ მეცნიერებაში.

ვახუშტიმ მნიშვნელოვანი წვლილი გასწია საქართველოსა და უცხო ქვეყნების ეკონომ-გეოგრაფიულ შესწავლილობაში. მაღალ დონეზე აღწერა მოსახლეობა და სხვა ეკონომიკური ხასიათის პრობლემები.

ვახუშტიმ საქართველო დაყო მთისა და ბარის განსხვავების ნიშნით და იგი ბარის რაიონებს აკუთვნებდა ისეთ ტერიტორიებს, სადაც გაბატონებული იყო მევენახეობა-მეხილეობა, ხოლო ტერიტორიებს, სადაც არ იყო განვითარებული აღნიშნული დარგები, მთის ზონას მიაკუთვნებდა.

გარდა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობებისა, ვახუშტის ნაშრომში ფრიად მდიდარი ინფორმაცია მოიპოვება ბოტანიკის, ზოოგეოგრაფიისა და გეოლოგიის შესახებ. ვახუშტი საგანგებოდ განიხილავს საქართველოს მცენარეულს საფარს, ამასთანავე მცენარეებს ყოფს კულტურულ და ველურ ზონებად. მის ცნობილ შრომაში, პირველად იყო განხილული მცენარეული საფრის კლასიფიკაციის მეცნიერული ცდა და მათი გეოგრაფიული გავრცელება. ვახუშტი გვევლინება ასევე როგორც საქართველოში ზოოგეოგრაფიული კვლევის ფუძემდებელი, რომელმაც საქართველოს ფაუნა დაწვრილებით აღწერა და განიხილა იგი ცალკეული

მხარეების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნაშრომში მოცემულია სისტემატიკის პრინციპები, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს თბილისის ფაუნას:

„სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა; ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვართა სავსე; სხდების წერო ბატი მრავალი...“

ვახუშტი თავის მთავარ შრომაში ეხება გეოლოგიის რამდენიმე დარგს, მ.შ. მინერალოგიასა და ჰიდროგეოლოგიას. „აღწერაში“ შემონახულია მნიშვნელოვანი ცნობები მინერალებისა და ქანების შესახებ. სულ 300-მდე სახის მინერალი მოიხსენიება. გარდა ამისა, იგი მეცნიერულ დონეზე აღწერს მინერალურ წყლებს.

ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ვახუშტის თხზულება... ყოველი მკვლევარი-სათვის ყოველთვის აუცილებელი წყარო იქნება... იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არასდროს მნიშვნელობა არ დაეკარგება...“

ვახუშტის კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი მეცნიერული თხზულება, როგორცაა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან („დასაბამიდან“, „ქვეყნის შექმნიდან“) XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ნაშრომი მრავალი წლის მანძილზე რჩებოდა უმნიშვნელოვანეს წყაროდ საქართველოს მიწა-წყლის გასაცნობად.

ავტორი საქართველოს პრობლემებს უკავშირებს მსოფლიო ისტორიას. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკურ და ეთნიკური ერთიანობის იდეას. საქართველოს დაშლის მიზეზს ვახუშტი ბატონიშვილი სამართლიანად ხედავდა XIII-XIV საუკუნეების მოვლენებში. ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიულ ამბებს მატინისეზური სტილით გადმოგვცემს, ძირითადად ჩერდება პოლიტიკური მოვლენების აღწერაზე, ცდილობს ეს მოვლენები ახსნას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გზით. პოლიტიკური ისტორიისათვის ვახუშტი ბატონიშვილი იყენებს ისტორიულ ქრონოლოგიას, რომელიც მან მეცნიერებად აქცია. ვახუშტი ბატონიშვილს მოცემული აქვს აგრეთვე საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ცდა. მან საქართველოს ისტორია ორ ნაწილად დაყო: I ძველი ისტორია — 1469 წლამდე და II. 1469 წლის შემდეგ — ვახუშტის დრომდე.

ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიის პირველი პერიოდის წყარო „ქართლის ცხოვრება“, მეორე ნაწილი კი ძირითადად ორიგინალურია. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში გაკვრით ეხება ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის გავრცელების ფარგლებს.

ვახუშტიმ დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს ისტორიოგრაფიული საკითხების შესწავლას. მან კარდინალურად დაამუშავა ისტორიოგრაფიული პრობლემები, მ.შ. შემოიღო მანამდე უცნობი ახალი მეთოდები, ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე

გამოაქვს დასკვნები და ა.შ. ვახუშტი ეყრდნობა ციციერონის, ვილჰელმ სტრატემანის, იოანე დამასკელის, ლუი ფილიესა და სხვ. შრომებს. სარგებლობს სომხური, თურქული, სპარსული და ბერძნული წყაროებით. იცნობდა გალილეო გალილელის, მიკოლაი კოპერნიკის, სკარგიუსისა და სხვათა შრომებს. ასევე ფართოდ სარგებლობდა სულხან-საბა ორბელიანის შრომებით. ეჭვს არ იწვევს ვახუშტისა და რუსი მეცნიერის ვასილი ტატიშჩევის საერთო კავშირი.

აფხაზეთის სამთავროს გერბი (ვახუშტის მიხედვით).

ვახუშტიმ პირველმა შეისწავლა ქართული გერბები და დაიტანა იგი თავის სახელგანთქმულ ატლასში. ატლასში შეტანილია ერთიანი საქართველოს, ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების გერბები. წმინდა გიორგი გამოსახულია საქართველოს სამეფო სახელმწიფო დროშაზე. ატლასში შეტანილია კახეთის, ქართლის, ოდიშის, იმერეთის სამეფო გერბები, მოთავსებულია სვანეთის, გურიის, აფხაზეთის გერბები და სხვ. ამრიგად, ვახუშტიმ ისტორიის დამხმარე დარგის — ჰერალდიკის შესწავლაც მოახერხა და ამით ამაგი დასდო ამ დარგის განვითარებას საქართველოში.

ვახუშტიმ დიდი წვლილი შეიტანა ასევე ეთნოგრაფიის კვლევის საქმეშიც. მან მალალ დონეზე აღწერა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ერთობლიობა და დაგვიტოვა არაერთი საყურადღებო ცნობა ქართველთა ჩაცმულობაზე, საქორწინო წეს-ჩვეულებებზე, ტრანსპორტზე, ნაგებობებზე და სხვ.

ვახუშტი მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის ასევე, საქართველოში ანთროპოლოგიის მდგომარეობის შესახებ. მან ქართველი ხალხი ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ცალკეული ჯგუფების მიხედვით აღწერა. ვახუშტი მოღვაწეობდა მთარგმნელობით სფეროშიც, რითაც წვლილი შეიტანა ქართული საზოგადოების განმანათლებლობაში.

XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთ-მცოდნე და ქართველოლოგი მარი ბროსე სწორედ შენიშნავს და წერს:

„ვახუშტიმ ისე აღწერა თავისი სამშობლო, როგორც არც ერთი აზიური ქვეყანა, გარდა ჩინეთისა, არ ყოფილა აღწერილი...“

ვახუშტის სახელობისაა თბილისში, მდინარე მტკვარზე განლაგებული ხიდი, მის სახელს ატარებენ ქუჩები ქუთაისსა და თბილისში, ვახუშტის სახელობისაა გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სვანეთის კავკასიონზე არის ვახუშტის მარადთოვლიანი მწვერვალი (4000 მ), უშოლთის მღვიმის ერთ-ერთ დარბაზს ვახუშტის სახელი ეწოდება; ბერძილის ქედის ერთ-ერთი ღრმა უფსკრული ვახუშტი ბაგრატიონის სახელს ატარებს.

1948 წელს მოქანდაკე ვალენტინ თოფურიძემ შექმნა ვახუშტი ბატონიშვილის ორი ბიუსტი, რომლებიც ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. ვახუშტი დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.



„სულ იმას ვშიშობდი, ტამე აბ დაიკარგოს, აბ წახდეს-მოთქი“

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა წმიდანად შერაცხა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი და მას სახელად წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. განუზომელია ამ ადამიანის ღვაწლი ქართველი ერისა და ღვთის წინაშე. მის სახელს უკავშირდება არა მარტო თავდადებული სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინმიდეების, ჩვენი საგანძურის გადარჩენა.

2003 წლის მაისში წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი სასიხარულო ფაქტი მოხდა: თბილისში გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი და სამლოცველო.

XIX საუკუნის 80-იან წლებში წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის საზოგადოებრივ ასპარეზზე გასვლის დროს, ავტოკეფალია წართმეულ საქართველოს ეკლესიას რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. მათი ხელშეწყობით უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში დაცული საეკლესიო სინმიდეები და უძველესი ქართული ხელნაწერები ნადგურდებოდა. სავალალო მდგომარეობაში იყო აგრეთვე მოქმედ ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეებიც. ეგზარქოს ევსევი ილინსკის (1857-1877) განკარგულებით, მოქმედ ეკლესია-მონასტრებში დაცული წიგნები, რომელთაც ღვთისმსახურების დროს მღვდლები იყენებდნენ, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავდა, წაკითხვის დროს „ბორძიკობდნენ“, უნდა შეეგროვებინათ და თბილისში ჩამოეტანათ. იგივე ეგზარქოსის მითითებით, 1876 წლის 30 ივნისის საქართველო-იმერეთის სინოდიალურმა კანტორამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალით, ზემოთაღნიშნულ წიგნებთან ერთად უნდა შეკრებილიყო ეკლესია-მონასტრებში დაცული სხვა დოკუმენტები და საეკლესიო ნივთები და ისინი თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში უნდა განეთავსებინათ. აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ და სასულიერო პირების ნაწილმა აღიმაღლა ხმა. გამოითქვა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ თბილისში არსებულ საგანძურს შესაძლებელია, საფრთხე დამუქრებოდა. მართალია ქართველი საზოგადოების დიდი წინააღმდეგობის გამო საქართველო-იმერეთის სინოდიალური კანტორის აღნიშნული გადაწყვეტილება ბოლომდე ვერ განხორციელდა, მაგრამ თბილისის

სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში ხელნაწერთა დიდი ნაწილი მაინც განთავსდა. ეგზარქოს ევსევის მითითებით, აღნიშნული ხელნაწერები სემინარიის ეზოში ცეცხლს მისცეს. 1884 წელს ეგზარქოს პავლეს გადაწყვეტილებით სემინარიის ბიბლიოთეკის გამგეს ი.მ.გოტინსკის დაევალა, გადაერჩია წიგნები და „საეჭვო შინაარსის ქართული ხელნაწერები“ გაენადგურებინა. აღნიშნული დავალება სისრულეში მოიყვანეს. ამ ხელნაწერთაგან კ.ცინცაძემ დანვას გადაარჩინა ერთი წიგნი, რომელიც „სვანური მრავალთავის“ სახელითაა ცნობილი.

ცალკეულმა ენთუზიასტმა პირებმა განადგურების პირას არსებულ საეკლესიო სიძველეებზე ზრუნვა დაიწყეს, მაგრამ XIX საუკუნის 70-იან წლების ბოლომდე ჩვენში არ არსებობდა ისეთი დაწესებულება, რომელიც მათ მოღვაწეობას ორგანიზებულ ხასიათს მისცემდა. სწორედ ასეთ ვითარებაში გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაისახა მიზნად ქართულ სიძველეებზე ზრუნვა. მოგვიანებით წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი თავისი საქმიანობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალა განწირული დავიწყებისა და დაღუპვისათვის. პირდაპირ ამიტანა ფანატიურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემს თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს. სულ მას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს, აი, ეს არ წახდეს მეთქი. ვცდილობდი, ყველაფერი ამენერა, გადმომელო, ჩამეხატა, რაც შეიძლება მეტი გამომეკვლია, შემეძინა, შემომეწირებინა, არაფერი დამეკარგოს მეთქი“.

დასახული მიზნის განხორციელებას წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა. იგი ცნობილ ისტორიკოსს დ.ბაქრაძეს გვერდში ამოუდგა და აქტიურ დახმარებას უწევდა. მან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში აქტიური ბრძოლა დაიწყო საეკლესიო მუზეუმის დაარსებისათვის. წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის არქივში ინახება ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მცირე მოცულობის ნაშრომი, რომელიც თბილისში საეკლესიო მუზეუმის დაარსებას ეხება. აღნიშნული ნაშრომიდან ირკვევა, რომ დ.ბაქრაძეს სიძველეების მოძიებით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევარი აქტიურად დაუსაქმებია. მისი მითითებით წმ. ექვთიმე ღვთისკაცს ქართულად უთარგმნია

რუსეთის სინოდის მიერ დამტკიცებული მუზეუმის წესდება, მასვე წესდების ქართული და რუსული ტექსტები პრესაში გამოუქვეყნებია. 1889 წლის 17 თებერვალს საეკლესიო მუზეუმის ხელმძღვანელთა ინიციატივით მცხეთაში გასვლითი ექსპედიცია მოეწყო. აქ ლ.ბაქრაძესა და ნ.კალისტოვთან ერთად წმიდა ექვთიმე ღვთისკაციც მონაწილეობდა. ეს არა მარტო საეკლესიო მუზეუმის პირველი ექსპედიცია იყო, არამედ წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის პირველი მონაწილეობაც - საეკლესიო სიძველეების მოძიებაში. მართალია, ექსპედიციის წევრებს სვეტიცხოვლის ერთ დროს მდიდარი ბიბლიოთეკა გაძარცვული დახვდათ, მაგრამ სამთავროს, შიომღვიმის, ჯვრის მონასტრებში დაცულ ხელნაწერებს თავი მოუყარეს. მათვე მოსახლეობისაგან შეაგროვეს ძვირფასი სიგელ-გუჯრები და მცხეთიდან 58 ხელნაწერი და 50 სიგელ-გუჯარი ჩამოიტანეს. ყოველივე სათანადო ოქმის გაფორმებით საეკლესიო მუზეუმის მცველს თ.ჟორდანიას ჩააბარეს. იმდროინდელმა ქართულმა პრესამ ფართოდ გააშუქა ექსპედიციის მუშაობის შედეგები. აღნიშნული ექსპედიციის მიერ მოძიებულმა მასალამ საფუძველი ჩაუყარა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. დ.ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ (1890 წ.) თ.ჟორდანიასთან კონფლიქტის გამო წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი საეკლესიო მუზეუმს ჩამოშორდა, მაგრამ ხელი როდი აუღია საეკლესიო სიძველეების მოვლა-პატრონობაზე. ჯერ კიდევ 1888 წელს წმიდა ექვთიმე ღვთისკაცმა შეისწავლა იტრიის, ზემო ქალის და ახლო მდებარე ეკლესია-მონასტრების სიძველეები. მან მღვდელ სუბიაშვილის ოჯახში მიაკვლია 973 წლით დათარიღებულ „პარხალის სახარებას“, რომლის შესწავლით მან დაადგინა, რომ „შატბერდის კრებულ“ რომელსაც ადრე IX საუკუნით ათარიღებდნენ, X საუკუნეშია შედგენილი.

საეკლესიო მუზეუმიდან წამოსვლის შემდეგ წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ თანამშრომლობს, ექსპედიციის დროს მოძიებულ მასალებს კი აღნიშნული დაწესებულების ხელნაწერთა განყოფილებას სწირავს.

XIX საუკუნის 90-იანი და XX საუკუნის 10-იანი წლებში წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქტიურ საარქეოლოგო ექსპედიციებს აწყობს. მან ფეხით მოიარა გურია, სამეგრელო, ქართლი, კახეთი, აღწერა და აზომა უამრავი ეკლესია-მონასტერი, შეაგროვა უნიკალური ეპიგრაფიული მასალა, დაღუპვას გადაარჩინა მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი და საეკლესიო სიძველე. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ხელმძღვანელობით 1902-1907-1917 წლებში სამხრეთ საქართველოში მოწყობილი ექსპედიციები. აღნიშნული ექსპედიციის გამოქვეყნებული მასალების ღირებულება ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შეფასებული.

1907 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ წმიდა ექვთიმე ღვთისკაცმა ქართველი საზოგადოების მონაწილად ნაწილი შემოიკრიბა. მათ შორის ქართველი სამღვდლოებაც. საზოგადოების დამფუძნებელ წევრებს შორის იყვნენ ქართველი

სასულიერო პირები - მღვდლები: პოლიევექტოს და ვასილ კარბელაშვილები, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, კ.კეკელიძე და სხვები. საზოგადოების წამდვილ წევრებად აირჩიეს ეპისკოპოსები: ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეები, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, დავით კაჭახიძე, არიქმანდრიტები: დოსითეოს ბერძენიშვილი და პიროს ოქროპირიძე, შემდგომ მათ მიემატა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე და მღვდელი ილია შუბლაძე. ახლადდაარსებულ საზოგადოებაში საერო პირებთან ერთად სასულიერო მოღვაწეობის ჩართვით წმიდა ექვთიმე ღვთისკაცს სურდა, რომ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებს ერთობლივად ეზრუნათ საეკლესიო სიძველეების გადარჩენისათვის.

ქართველი სასულიერო პირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის ხელმძღვანელობით დაარსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. ხშირად ისინი საზოგადოების კრებებზე მოხსენებითაც გამოდიოდნენ.

თავის მხრივ, წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი მაღალ შეფასებას აძლევდა წმიდა ეპისკოპოს კირიონის მეცნიერულ მოღვაწეობას და მის თავდადებას სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოდ. წმიდა ექვთიმემ 1907 წელს გამოცემული „ძველი საქართველოს“ I ტომში წმიდა კირიონ ეპისკოპოსის მიერ სხვადასხვა წლებში შეკრებილი ლექსიკური მასალა დაბეჭდა. აღსანიშნავია, რომ წმიდა კირიონის ლექსიკონში ისეთი სიტყვებია თავმოყრილი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს და დავით ჩუბინაშვილს ნახსენებიც არ აქვთ. დღემდე წმიდა მღვდელმონაწამე კირიონის აღნიშნული შრომა კექსიკოლოგთა მიერ სათანადოდ შესწავლილი არაა.

წმიდა ექვთიმეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა და დიდად აფასებდა ქართველ სასულიერო პირებს: წმიდა ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ძმებს ვ. და პ. კარბელაშვილებს, უცხოეთში მოღვაწე კათოლიკე მღვდელს მიქელ თამარაშვილს და სხვებს. მან „ძველი საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძისა და მიქელ თამარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი. წმიდა ექვთიმეს ხელშეწყობით, მღვდელმა ვ.კარბელაშვილმა ზ.ფალიაშვილთან ერთად 1903 წელს სვანეთში ჩაიწერა ძველი ქართული სიმღერა გადმოცემები. ცალკე აღნიშვნის ღირსია წმიდა ექვთიმეს დიდი პატივისცემა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ. იგი თავის მოგონებებში დიდი სიყვარულით იხსენიებს მის ძმას - მღვდელსა და პედაგოგს სიმონ ქიქოძეს, რომელმაც ღვთისმშობილობასთან ერთად მას სამშობლოს სიყვარული და ცოდნის დაუოკებელი შეძენის სურვილი შთაუწერა. წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი თვალყურს ადევნებდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის საქმიანობას და აღფრთოვანებული იყო მისი მოღვაწეობით.

**გაბრძელებსა შიმდებ ნომერში
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ილდარ ბაბუღაშვილი
გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“**



საბედისწერა მზე შემოდგომისა

გარდაიცვალა ჟურნალისტი და პუბლიცისტი ნანა გეგია. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის, საინფორმაციო სააგენტო „ჯონიუსის“, ტელე-რადიო კომპანია „ახალი საქართველოს“, რადიო „საქართველოს ხმის“ და ვებსტუდია „არტმედიის“ შემოქმედებითი კოლექტივი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანა გეგია დაიბადა ქ. თბილისში, დაამთავრა მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ამასთან, საინფორმაციო სააგენტო „ევრაზია“-ში, ჯერ ჟურნალისტად, შემდეგ კი - დირექტორად. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ბოლო პერიოდში ტელე-რადიო კომპანია „ახალი საქართველოს“ პროგრამებს ხელმძღვანელობდა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი წიგნი „მჯდომარე ანასტასია“ ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტის სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით დაიბეჭდა.

„გასვეულა ირგვლივ ნისლის კვამლში,
ტანმალა ჭადრის სმელი ტოტი,
გაფრენილა სიჭაბუკის დღენი,
კულს აშხნევეს სევდის მძიმე ლოდი“.

მძიმეა ნანა, მძიმეა ეს სევდის ლოდი, ჭირს მისი გადაგორება, შიშისა და ძრწოლისაგან ათრთოლებული შევყურებ შენს სანთელივით გაყვითლებულ სახეს და ვფიქრობ, რა საბედისწერო

აღმოჩნდა მზე შემოდგომისა, მზე, რომელმაც ვერასგზით შესძლო შენი გაყინული სულისა და გულის გათბობა, უხერხულობისგან დარცხვენილმა ოქროსფერი კალთები აიკრიფა და ღრუბლებს მოეფარა. მწუხრი ჩამოწვა. ფოთოლცვენაა. ერთ დროს შენსავით ხასხასა, სიცოცხლით სავსე ფოთლები პანაშვიდს გიხდიან, ისედაც გაცრეცილნი და სასომიხდილნი ახლა უკვე შენი

ცოდვის ცრემლით დამძიმებულნი მინაზე მიძიმედ დაეშენენ და ფიანდაზად გაეფინენ შენს ნანამებ ცხედარს.



ღვინობისთვეში შეს- მულმა შენმა შესან- დობარმა ბედის სურა ალგივსო და მარადიული ძილისთვის განგამწესა.

ნანა, მართლაც რომ იავნანა, ჩვენო ლა- მაზო გოგო. უფალმა ქართველთა ქალღვთაების, ნანას სახელი შენთვის გამოიმეტა, ბრონეულის ყვავილივით ამშვენებდი ირგვლივმყოფთ, პერსიფონემ შეგიყვარა, მისებრ შუქისა და სიკეთის მაუნყებლად მოგავლინა ამ ქვეყნად, სადაც შენი მოგზაურობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ჰო, ზემოთ ბრონეულის ყვავილი ვახსენე, სწორედ, რომ გაზაფხულზე აფეთქებულ ბრონეულის ხეს ვხედავდი შენში, საიდანაც ნიჭისა და ენერჯის უშრეტი წყარო იღვრებოდა. ნაზი, მშფოთვარე, თბილი, ალერსიანი, მზრუნველი, გონიერი, საზრიანი, მაგრამ უკვე წარსულის მკვიდრი...

იყო და არა იყო რა?! არა, მე ასე არ ვფიქრობ. მართალია ოქროსფერი შემოდგომა შენთვის კუპრი აღმოჩნდა, მაგრამ როგორც ბარათაშვილი იტყოდა, „გზა უვალთ, შენგან თელილი“, არასდროს წაიშლება. შენ მაღლა, ცაში ანგელოზები გელიან, სამოთხე შენი სულის სავანეა, შენი ამქვეყნიური ლოცვა-ვედრება და ღაღადისი შენსავე ღამაზ სულს უკვდავებას მისცემს და სიმშვიდით მიგიყვანს სასუფეველამდე.

დასანანი ის არის მხოლოდ, რომ ერთი სიცოცხლე შენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. უამრავი სათქმელი დაგრჩა, სითბოთი სავსე გული სამუდამოდ გაიყინა:

„ცის შორეული ნათება, შენთვის გადაიქცა ღამედ, დილის გაშლილი უვავილი უკვე დაითვლის წამებს, ეს შემოდგომა აღმოჩნდა შენთვის ცხოვრების არე, სიკვდილის ზღაპარს გაამბობს უკანასკნელად ღამე“.

მშვიდობით, ჩვენო კარგო მეგობარო!

ინო რახვიაშვილი
უურნალ „რაჭველების“ და
„სამეგრელოს“ რედაქტორი

მამა გაბრიელის ღარიბეზანი



- ◆ ვინც აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში თავის ცოდვებზე იტირებს, ის იუდაზე უარესია.
- ◆ საშინელი განსაცდელი მოელის ყველას, ვინც აბორტს იკეთებს, აკეთებს ან ამის ნებას იძლევა. სანამ დროა უნდა შეინანონ ცოდვები და განუწყვეტილვ ილოცონ ღვთის წინაშე, რომ ჩვილთ მკვლელობის ცოდვა მოიტვეთ.
- ◆ დიდ სინმინდეს მუდამ ახლავს დიდი მადლი, რომელსაც გარშემო აკრავს დიდი წრე. ამ წრეს ბოროტება ვერ ეკარგება.
- ◆ ადამიანს ერთხელ უთხარი, ორჯერ, სამჯერ და თუ ვერ გაიგო, დაანებე თავი.
- ◆ საქართველო უნდა გაბრწყინდეს, მაგრამ დიდი ტანჯვა უნდა გამოიაროს, როცა იტყვიან აი, მორჩა, მაშინ განათლდება და გაბრწყინდება.
- ◆ ჩემი ჯვარი სრულიად საქართველო და ნახევარი რუსეთია..
- ◆ აღსარება ღვთის იმხელა საიდუმლოებაა, რომ ადამიანის გონება ვერ ჩასწვდება მასში. ის ღვთის ყველაზე დიდი წყალობაა დედამინაზე.
- ◆ როგორც კი შესცოდავ, მაშინვე შეინანე.
- ◆ თუ ოჯახის შექმნა გინდა, იქორწინე, მხოლოდ იცოდე ყველა წესის დაცვით.
- ◆ თუ შენ ლოცულობ და ამდროს მოგადგა ვინმე გაჭირვებული და გთხოვა დახმარება, შენ რომ არ მიეხმარო და უთხრა: ვლოცულობ, დავამთავრებ და მერე მოგხედავო, აი, ასეთი ლოცვა ღმერთს არ სჭირდება, ასეთ ლოცვაზეა ნათქვამი, ლოცვა ცოდვად შეერაცხაო.
- ◆ ღვთის სახელის ხსენება უმიზეზოდ არ შეიძლება, ხშირად რომ ახსენებ მესამე მცნება ირღვევა.
- ◆ ღვთის განგების იმედი არასოდეს დაჰკარგო!!!
- ◆ ილოცეთ ყველასათვის, ამას გიტოვებთ ანდერძად. ილოცეთ, ლოცვა მთებს დაძრავს.
- ◆ „ზღვები დაშრება, მთები დაიშლება, ქრისტეს დიდება არ მოიშლება.“
- ◆ სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს, ღმერთს უყვარს საქმე, კეთილი საქმე არის სიყვარული.
- ◆ შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.



კობოკ შეიქენა „ტაში, ბიჭო, გიორგუნა“


ცეკვა „რაჭული“ რომ ყველას უყვარს, ცხადია, მაგრამ, „ტაში, ბიჭო, გიორგუნას“ გაუღერებისთანავე მთელი დარბაზი რომ აცეკვდება, განურჩევლად ასაკისა, ამაზეც არავინ დავობს, თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ ამ ცეკვის სულის ჩამდგმელია მისივე უბადლო შემსრულებელი, დათუნია სხირტლაძე, რომელიც წლების განმავლობაში მთელ რაჭაში აგროვებდა ილეთებს. რაც შეეხება სიმღერას – „ტაში, ბიჭო, გიორგუნა,“ შეიძლება, ბევრს ხალხური ჰგონია, მაგრამ, სინამდვილეში, მისი ტექსტი დათუნია სხირტლაძის მამის დაწერილია. ასე რომ, მის ოჯახს ამ ცეკვის არსებობაში დიდი წვლილი მიუძღვის.

დათუნია სხირტლაძე:

დავიბადე რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, ხელოვანი ხალხის ოჯახში. მამა რეჟისორი, დრამატურგი და პოეტი იყო. მთელი ჩემი ბავშვობა სულ თეატრალურ გარემოცვაში გავატარე. ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელი ჩვენს სახლში იყრიდა თავს. ამიტომ ხელოვნებისადმი სიყვარული პატარაობიდან ჩამენერგა.

– ცეკვაც ბავშვობიდან დაიწყეთ?

– გენეტიკურად, შემეძლო, სხვაგვითნავსულიყავი, მაგრამ ხელოვნების დარგებს შორის ცეკვა შევარჩიე. მე არ მახსოვს, მაგრამ, როგორც მეუბნებიან, პატარა რომ ვყოფილვარ, გავიგონებდი თუ არა მუსიკის ხმას, მაშინვე ცეკვას ვიწყებდი. მოკლედ, სანახაშოზე ხალხის გამართობი ვიყავი. მთელი ჩემი ბავშვობა სულ ვცეკვავდი. რაიონში ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა, რომლებმაც „მომწამლეს“ ქორეოგრაფიის სიყვარულით. ესენი არიან: შაქრო ჭოხონელიძე, ომარ ტვილდიანი და რეზო ბერაძე. უმაღლესში ჩაბარების



დრო რომ დადგა, რადგან ისტორია ძალიან მიყვარდა, უნივერსიტეტზე იყო საუბარი, მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში მამაჩემს ვთხოვე, ქორეოგრაფიის განხრით გამეგრძელებინა სწავლა და სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებელში ჩავაბარე. გამიმართლა და ისეთ უძლიერეს პედაგოგთან მოვხვდი, როგორც იყო კონსტანტინე მანჯგალაძე. მისი გაზრდილები იყვნენ ფრიდონ სულაბერიძე, ნუგზარ ჯიქური და სხვები. ის ძალიან ძლიერი „მექართულე“ იყო და ძირითადად ცეკვა „ქართულის“ მოცეკვავეებს ზრდიდა. 1977 წელს სასწავლებელი არც კი მქონდა დამთავრებული, რომ ილიკო სუხიშვილმა მიმინვია ანსამბლში, სადაც შვიდი წელი ვცეკვავდი. მერე ჯანმრთელობის გაუარესების გამო მივატოვე ცეკვა და წამოვედი რაიონში. რაჭაში ჩამოვყალიბე სტუდია და გადავწყვიტე, ბავშვებისთვის მესწავლებინა ქართული ცეკვები.

– ძალიან პოპულარული გახდა „ტაში, ბიჭო, გიორგუნა,“ ანუ – „რაჭული“. ეს არის ცეკვა, რომელიც შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ თქვენ შემოიტანეთ

და წლების განმავლობაში ზემო და ქვემო რაჭაში შეგროვებული სხვადასხვა მოძრაობა გააერთიანეთ მასში. დღეს ამ ცეკვას ყველა ცეკვავს, იქნება ეს რესტორანი, კონცერტი თუ სხვა თავშეყრის ადგილი.

– მართლაც ძალიან დიდხანს და ყველგან ვაკვირდებოდი რაჭველი კაცის ცეკვის მოძრაობებს, ეს ყველაფერი თავში იბეჭდებოდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, 25 წლის განმავლობაში ვებრძოდი ჩემს თავს: ღმერთო, დამიყენე ის დრო, რომ ეს ცეკვა პროფესიონალურ სცენაზე დავდგა-მეთქი. ჩემში უკვე იმდენ მასალას ჰქონდა თავი მოყრილი, რომ ამას

მხოლოდ და მხოლოდ არენა სჭირდებოდა, მაგრამ, ეს ხომ უნდა დამეჯერებინა ვინმესთვის?! ამისთვის კი რომელიმე ანსამბლი და სცენა მჭირდებოდა. პირველად ეს ცეკვა რაჭაში, ჩემს ბავშვებთან დავდგი. რადგან სახასიათო ცეკვაა, რთული შესასრულებელი იყო. ამას გოგონებმა თავი გაართვეს, ბიჭებმა კი ვერა. ერთი ბიჭი მომწონდა ამ ხასიათში – გიორგი ქემოკლიძე, გოგონების ცეკვის დროს შემორბოდა ქორივით ბიჭი და მოცეკვავე გოგონებს შორის ერთს ირჩევდა. მთელი საქართველო მოიარა ამ ცეკვამ, ყველა ფესტივალზე სრულდებოდა. ხალხს ჯერ უკვირდა – რა ხდებოდა, ვერ იგებდნენ. ახლა იმას გეტყვით, თუ საიდან დაიბადა „ტაში, ბიჭო, გიორგუნა“ რომელიც, ბევრს ხალხური ჰგონია, მაგრამ მამაჩემის ტექსტია, რომლის საშუალებითაც გადმოსცემს, როგორც იყო იმ დროს რაჭის ერთ-ერთი სანახშო. ჩემთვის საინტერესო იყო არა ტექსტობრივი, არამედ საცეკვაო მასალა. სასიმღერო მასალა რაჭაში უამრავია, საცეკვაო კი – არა. სულ ორია: „რაშოვდა“ და „ორჯო“. ავიღე საქართველოსთვის ყველასთვის ცნობილი „ქვედრულა.“ მე თვითონ მესტვირეების ოჯახიდან ვარ და დადგმის ნაწილში მესტვირე შემოვიყვანე „სანახშოზე.“ მესტვირემ ჯერ ტექსტით შეკრა მოცეკვავე გოგონები და ბიჭები, მერე კი „რაშოვდას“ ნაწილით გაგრძელდა. ბევრი რაჭველი და სხვა კუთხის წარმომადგენელი მეკითხება, რატომ არის ტექსტში: „ხაჭაპურს გამოგიცხოვ, ცარიელსა ქერქსაო, ღვინოს გადალევინებ, ცარიელსა თხლესაო.“ რა არის, თუ ეძახი ადამიანს, თხლე რატომ უნდა დააღვინო, ან რატომ უნდა აჭამო ხაჭაპურის ქერქიო. ეს ყველაფერი იუმორის ჟანრშია გაკეთებული. თუნდაც: „ლერნამისა ხესაო, ქორი მოჯდა ხესაო, ქალი მიქნევს ხელსაო...“ ესეც ვაჟის წარმოდგენაა, ნამდვილი ხომ არა? უყვარდა და ვინ დაუქნევდა ხელს, ჩაეკონა, არ მოეწონა და ესენი აჭამაო. ამით იუმორში გადატანილი უარია ნათქვამი. ამ ტექსტს გაგება უნდა, თორემ, რომელი რაჭველი მიუტანს სტუმარს ქერქს, ან მთხლეს?

მოკლედ, ეს ცეკვა დავდგი. რესპუბლიკურ ფესტივალზე ფილარმონიაში შემთხვევით შევხვდი ჩემს მეგობარს, უძლიერეს ქორეოგრაფსადათეორეტიკოსს, უჩა დვალისვილს, რომელიც კულტურის უნივერსიტეტში დიდი ხანი იყო, არ მყავდა ნანახი, არც ის ვიცოდი, სად მოღვაწეობდა იმ პერიოდში. ერთი ეპოზოდი ვუჩვენე ამ ცეკვიდან, მან კი შემომთავაზა, თუ დრო გექნება, ჩამოდი, ვიცი ილეთების უამრავი მარაგი გაქვს და კულტურის ინსტიტუტში ყველა კურსს ვუჩვენოთო. მეც სიამოვნებით დავთანხმდი და ყველა კურსს ვასწავლე რაჭული ცეკვის ილეთები, რომლებიც ძალიან შეიყვარეს ბავშვებმა. ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვაკეთებდი ყველაფერს. მერე შემომთავაზეს, კულტურის უნივერსიტეტის ანსამბლ

„როკვაში“ დამედგა რაჭული ცეკვა. ეს დაახლოებით 20 წლის წინათ იყო. თავიდან ყველა ამბობდა, მოდი, ამ ცეკვას „ექსპერიმენტი“ დავარქვათო. ამით თავს იზღვევდნენ: თუ ხალხი მიიღებდა, ხომ კარგი, თუ არა და, ექსპერიმენტად დარჩებოდა. თუმცა, შინაგანად მაინც მჯეროდა, რომ ეს ცეკვა თავის სიტყვას იტყოდა. დღეს ეს ცეკვა მართო რაჭველებისთვის კი არა, ყველა კუთხის წარმომადგენლისთვის მისაღებია. ბევრმა არ იცის, რომ „ტაში, ბიჭო, გიორგუნა“ ჩემი გაკეთებულია. სადაც არ უნდა შევიდე, ცრემლები მომდის, რადგან ამ ცეკვის ბუმი. რესტორანში შეიძლება, „აჭარული“ სამმა-ოთხმა წყვილმა იცეკვოს, მაგრამ, როგორც კი „ტაში, ბიჭო, გიორგუნა“ დაიწყება, ყველა საცეკვაოდ გარბის. ბედნიერი ვარ ძალიან. ერთი უნდა აღვნიშნო: ცოტა გული მტკივა იმის გამო, რომ ყველა ქორეოგრაფი თავისას ამბატებს. ამის გაკონტროლება დათუნისკაცად შეუძლია. ზოგმა გადააჭარბა – კავკასიური შეურიეს, ზოგმა სისწრაფე მისცა და ასე შემდეგ. თავის თავში მოირგეს, აბა, ყველა მე ხომ არ დამიძახებს ცეკვის დასადგმელად. ზოგი ძალიან კარგ რაღაცას ამბატებს, რომელიც საერთოდ არ მომივიდოდა აზრად რაჭველ კაცს, ზოგი კი ძალიან აცუდებს. მოკრძალებულად რჩევასაც ვაძლევ ასეთებს. ეს ცეკვა სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავშიც“ დაიდგა. მე რომ აქ ვარ და თქვენ გესაუბრებით ეს ფრიდონ სულაბერიძისა და ანსამბლ „რუსთავის“ დამსახურებაა. რომ მიმიწვია, მას უკვე თითქმის მთელი ძირითადი ცეკვა დადგმული ჰქონდა, მაგრამ, მითხრა, არ მომწონს, ვხედავ, მაგრამ „რაჭული“ არ არის, რაღაც აკლიაო. მაგარი მოცეკვავეები არიან და, რასაც ვაკეთებდი, უპრობლემოდ გადაჰქონდათ ცეკვაში.

– ანსამბლ რუსთავში თქვენ ცეკვავდით „რაჭულს“?

– ილეთებს რომ ვუხსნიდი მოცეკვავეებს, ფრიდონმა მიყურა, მიყურა და მითხრა, დათუნიკა, შენ იცეკვებ „რაჭულს“ სცენაზეო. მთელი ღამეები არ მიძინია, რადგან, ვიცი ფილარმონიის ფასი, სცენის ფასი და ასე შემდეგ. „რუსთავში“ ჩემი გამოჩენა დიდი პატივი იყო, მაგრამ, ვფიქრობდი, 48 წლის კაცი არ ჩავფლავდე, სირცხვილია-მეთქი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა, გეფიცებით, ხალხი ფეხზე იდგა და ტაშს მიკრავდა. რამდენჯერ მოსულან კონცერტზე ცნობილი ადამიანები, იკითხავდნენ – დათუნიკამ იცეკვაო? მნახავდნენ და წავიდოდნენ.

– მართალია, საქართველოში ძალიან უყვართ თქვენი ცეკვა, მაგრამ, საინტერესოა როგორ იღებენ მას უცხოეთში?

– მიკვირს უცხოელების რეაქცია: რა იციან მათ რაჭა? მაგრამ, ტაშის დაკვრა მაშინ ორმაგდება, როცა „ტაში, ბიჭო, გიორგუნა“ იწყება. სასწაულია...

მარიკა ხილურელი

სახელოდახელოთ

ბორბი



ბისკვიტისთვის:

- კვერცხი...2ც.
- შაქარი...1ჭ.
- კეფირი ან მანონი...1ჭ.
- ჯემი ან მურაბა ქლიავის...1ჭ.
(ან სხვა ნებისმიერი ჯემი-მომყავო გემოსი)
- სოდა...2ჩ.კ
- პ/ფქვილი...2ჭ.
- კაკაოს ფხვნილი...1ს.კ.

პრემისთვის:

- არაჟანი...2ჭ.
- შაქრის პუდრა...1ჭ.
- ცოტა ვანილი.

მომზადება:

ავილოთ კვერცხი და შაქარი. ავთქვიფოთ კარგად.დავამატოთ კეფირი ან მანონი სოდასთან ერთად ამოყვანილი, შემდეგ კი ჯემი და ბოლოს ფქვილი. შევურიოთ ნელა მიქსერის გარეშე, რომ ცომი ჰაეროვანი გამოვიდეს. მიღებული მასა გავყოთ 2 ნაწილად და გამოვაცხოთ 180 გრადუს ტემპურატურაზე, ქალაღდმოფენილ 20-25 სმ დიამეტრის ფორმაში. გამომცხვარი და გაციებული ფირფიტები გავყოთ თანაბრად კიდევ 2 ნაწილად.(მე ძაფის დახმარებით ადვილად ვახერხებ ამას)სულ გვექნება 4 ფირფიტა.

კარგად ავთქვიფოთ 25%იანი ახალი არაჟანი, დავამატოთ შაქრის პუდრა და ცოტა ვანილი.მივიღებთ ჰაეროვან კრემს. გავანანილოთ მიღებული კრემი და ყველა ფენას გადავუსვათ, ასევე გარედანაც.მორთვა შეგვიძლია ნებისმიერად. ან გახეხილი შოკოლადით და მოხალული კაკალით და თხილით, ან ახალი ხილით.ეს თქვენს ფანტაზიაზე და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

სიბესუჩი ჟადი

საჭირო მასალა:

- 600 გრამი მარგარინი
- 3 ცალი კვერცხი
- 1 ცალი ვანილი
- 1/2 ლიტრა მანონი
- 3 ჭიქა შაქარი
- 1 ჩაის კოვზი სოდა ძმრით
- 5 ჭიქა ფქვილი ან რამდენსაც შეიზელს



გულსართი:

3 ჭიქა ფქვილი ტაფაზე მოშუშეთ, დაუმატეთ 3 ჭიქა შაქარი, 100 გრამი დაკეპილი მარგარინი და 1 ცალი ვანილი. ურიეთ სანამ მარგარინი არ გადნება და ბოლოს მასა მოშუშეთ.

მომზადება:

500 გრამი მარგარინი თასში დაკეპეთ, შეურიეთ ფქვილი და ხელით მოზილეთ. დაუმატეთ სოდიანი ძმარი, 1 კვერცხი, ნახევარი ლიტრი მანონი და ხელით კარგად აურიეთ. შეურიეთ ისევ ფქვილი და მოვზილოთ ცომი. ცომი რამდენჯერმე გააბრტყელეთ, გადაახვიეთ და კვლავ გავაბრტყელეთ. მოაყარეთ გულსართი. გადაახვიეთ რულეტივით. ბოლოს ზემოდან ნაუსვით ათქვეფილი კვერცხი და მოაყარეთ შაქარი.

გამოაცხეთ 180 გრადუსზე.

მწვანე პომიდვრის მენილი

საჭირო მასალა:

- 2 კგ. მწვანე პამიდორი
- 3 მწარე წინაკა
- 10 დაფნის ფოთოლი
- 2 კონა ნიახური
- 1 კონა ოხრახუში
- 2 თავი ნიორი
- 1 ლ. წყალზე 1 ს.კ. მარილი



მომზადების პროცესი

მწვანე პომიდორი გავრეცხოთ და გავჭრათ შუაზე ისე, რომ პომიდორი არ გაცალკევდეს. შემდეგ დავჭრათ წითელი წინაკა, ნიორი და მწვანე ნილები. დაჭრილ შიგთავსს მოვყაროთ მარილი და ავურიოთ. შემდეგ ჩავდოთ გაჭრილი პომიდვრის შუაგულში და ემალის ჭურჭელში მოვათავსოთ.

გამზადებულ მასას დავასხათ წინასწარ გაჯერებული მარილიანი წყალი (1 ლიტრა წყალს უნდა 1 ს. კ. მარილი).

გადავფაროთ მარლა და დავადოთ სიმძიმე. დაველოდოთ დამყავებას.

„წინო ხეხვიამვირის გამომცემრობა“



ნიგნების ბეჭდვა

**მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810**

**ქურნალ-
ბაზეთების
ბეჭდვა**

**ანყობა,
ღიზაინი,
დაკაბადონება**

კორხაიი ორა სახრები ხაჭაძი

კვახიეთი, სხლი
ჩთუნახაზიანი შონაჩიით

ჩქლინ ღელა
გულა აგუთიის სხლი

